Потійская Городская Управа.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 78

ოთხშაბათი, 18 მაისი

1877—1905

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 78

ოთხშაბათი, 18 მაისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: **Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—$1\frac{1}{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. მ. შჩერბინინა**—$1\frac{1}{2}$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

კავკასიის მნიშვნელობა რუსეთის ხაზინისათვის

სხვადასხვა დღიურმა ამბებმა ამ საგანზე წერა შეგვაწყვეტინა და დღემდის ველარ მოვახერხეთ, დაუმთავრებელ საკითხს ისევ დავბრუნებოდით და დაგვესრულებინა. საგანი კი იმდენად საინტერესოა, რომ ღირს იგი სავსებით გავარკვიოთ და მკითხველს სრული ცნობები გავაგებინოთ.

სახელმწიფოს თითოეულ კუთხის შემოსავლიანობა სახელმწიფო კონტროლის ,,ანგარიშებში‘‘ ხშირად ყალბდება და ნამდვილის სისწორით არაა ნაჩვენები იმის გამო, რომ სამხედრო ხარჯები სახელმწიფოს ყველა ადგილებს თანასწორად არა აქეთ განაწილებული. იმ გუბერნიებში, რომლებიც საზღვრების ახლოსაა, მეტი ჯარი დგას და ამიტომ სამხედრო ხარჯიც დიდია ნაჩვენები. კავკასიაც განაპირა ადგილია, რუსეთის სამხრეთის საზღვარია, შედარებით მეტი ჯარი დგას და ამიტომ ,,ანგარიშებშიაც‘‘ კავკასიაზე დიდი სამხედრო ხარჯია დაწერილი. მაგრამ საზღვრის დაცვა მარტო საზღვართან მდებარე გუბერნიის მოვალეობა არაა,—იგი მთელის სახელმწიფოსთვის არის საჭირო და ამიტომ მთელის სახელმწიფოს მცხოვრებლებზე თანასწორად გასანაწილებელია. კავკასიაზე იხარჯება საშუალო რიცხვით წლიურად 19 მილიონი მან. ჯარის შესანახად, მაშინ, როდესაც შიდა-რუსეთის ოთხ გუბერნიას, რომელსაც კავკასიის ოდენა ტერიტორია უჭირავს და მცხოვრებთა რაოდენობითაც კავკასიას ეთანასწორება, მხოლოდ $12\frac{1}{2}$ მილიონი მან. აწერია სამხედრო ხარჯად. ამგვარადვე, ესრედ წოდებულ „ცენტრალურ მიწათ-მომქმედ“ გუბერნიებში, რახან იქ შედარებით მცირე ჯარი დგას, ჯარზე მხოლოდ 15 მილიონი იხარჯება; ნამდვილად კი, თუ სამხედრო ხარჯებს მთელის იმპერიის მცხოვრებლებზე თანასწორად გავყოფთ, ხსენებულ გუბერნიებს 45 მილიონი უწევს თავის წილად. შიდა-რუსეთის ოთხ „სამრეწველო გუბერნიაში“ წლიურ სამხედრო ხარჯად 4 მილიონზე ნაკლებია ნაჩვენები; ნამდვილად კი, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, ამ 4 გუბერნიას 22 მილიონის გადახდა ეკუთვნის

გარდა ამისა, ამა თუ იმ კუთხის შემოსავლიანობის სტატისტიკურ გამოხატულებაზე გავლენა აქვს არა-პირდაპირ გადასახადებს, რომელსაც, სხვადასხვა ბაჟებისა და აქციზის სახით, ხაზინა იღებს სამრეწველო ნაწარმოებზე. ნავთზე, მაგალითად, აქციზია დაწესებული. ამ აქციზით ხაზინაში შესული ფული სავსებით კავკასიის შემოსავალშია შეტანილი, თუმცა ნამდვილად ამ ხარჯს მარტო კავკასია არ ეწევა, არამედ ყველა გუბერნიის მცხოვრები, რომელიც კი ბაქოს ნავთს ყიდულობს და ხმარობს. ეგევე უნდა ითქვას საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ საქონელზე დადებულ ბაჟების შესახებაც: ამ ბაჟების სახით ხაზინისაგან მიღებული ფული იმ გუბერნიას აწერია შემოსავლად, სადაც საზღვარია და დამოჯნა არის გამართული. ნამდვილად კი ამ სახაზინო შემოსავალსაც სხვადასხვა გუბერნიების მცხოვრებლები იხდიან, სადაც კი უცხოეთიდან შემოსულ საქონელს ყიდულობენ და ხმარობენ. დასასრულ, ასევე არის საქმის მდგომარეობა იმ შემოსავლის შესახებაც, რომელიც შესდის ხაზინას შაქარსა, თამბაქოსა, სპიჩკასა და სხ. ნაწარმოებზე დაწესებულ გადასახადის აკრებით. ამ გადასახადებს იხდის არა მარტო იმ გუბერნიის მცხოვრები, სადაც ხსენებულ საქონლის ფაბრიკა ან ქარხანაა აგებული,—როგორც ამას ოფიციალური ,,ანგარიში‘‘ უჩვენებს,—არამედ ყველა მომხმარებლები, სადაც უნდა იყვნენ ისინი, ვინაიდან აქციზი საქონლის ფასს ემატება და მყიდველი საქონლის შეძენის დროს ნამდვილ ფასთან ამ აქციზსაც იხდის.

ამიტომ, თითოეულ კუთხის შემოსავლიანობისა და ზარალის შესახებ რომ ნამდვილი ანგარიში შევადგინოთ, საჭიროა ამგვარ ხასიათის სახაზინო შემოსავალი მცხოვრებთა საერთო რიცხვზე გავყოთ თანასწორად და მაშინ დაახლოვებით დავინახავთ, თუ რამდენ შემოსავალს აძლევს ესა თუ ის კუთხე ხაზინას.

ქვემოდ აღნიშნული ციფრები ასეთის წესითაა გამოანგარიშებული. არა-პირდაპირი გადასახადები თანასწორად არის მცხოვრებლების რიცხვზე გაყოფილი და ამგვარად გამოყვანილია კავკასიისა და სხვა ადგილების საერთო შემოსავალ-გასავალი.

ამ წესით 1898 წლიდან 1901 წლამდის, საშუალო რიცხვით, კავკასიისაგან ხაზინისთვის მიცემული ფული და თვით კავკასიაზე დახარჯულის ჯამი შეადგენდა წლიურად:

შემოსავალი—70 მილიონს და ხარჯი—52 მილიონს, ასე რომ წმინდა შემოსავალი ხაზინისათვის 18 მილიონი მანათი რჩება.

ამავე დროს, ამგვარისავე ანგარიშით, კავკასიის მცხოვრებთა რიცხვის თანასწორი მცხოვრებლები აძლევენ ხაზინას საერთოდ:

4 შიდა-გუბერნიაში 8 მილ. მან. წმინდა შემოსავალს.

„ცენტრალურ მიწათ-მოქმედ“ გუბერნიებში 15 მილ. მან.

„ცენტრალურ სამრეწვ.“ გუბერნიებში 9 მილ. მან.

პოლონეთში $6\frac{1}{2}$ მილ. მან.

მთელს ევროპის რუსეთში 12 მილ. მან.

ამ ციფრებიდან ნათლად სჩანს, რომ კავკასიას უკანასკნელი-კი არა,—შედარებით პირველი ადგილი უჭირავს სახელმწიფო ხაზინისათვის შემოსავალის მიცემის მხრით.

ცხადია, უსაფუძვლოა იმ რუს „პატრიოტთა“ ჩივილი, რომელნიც გვეუბნებიან, რომ კავკასია რუსეთის ხაზინისათვის საზარალოა და თქვენი ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის ჩვენ, რუსები, ვიხდით ფულსაო.

მაგრამ ეს, რაც ჩვენ ვთქვით, არა კმარა რუსეთისათვის კავკასიის ეკონომიურ მნიშვნელობის სავსებით გამოსახატავად. არის ზოგიერთი ისეთი გარემოება, რომელიც კავკასიის მნიშვნელობას კიდევ უფრო ადიდებს.

შემდეგს წერილში ჩვენ ამაზედაც მოვილაპარაკებთ...

შეცდომის გასწორება. № 76-ის მეთაურ წერილში შემდეგი კორექტურული შეცდომები შეგვეპარა, რომელიც წერილის ნამდვილ აზრს აყალბებს. დაბეჭდილია: „ხალხებისა და წოდებისგან გროვდებიან“, „როგორც მისი იდეოლოგია მხარს უჭერს“, „მცირე და პოლიტიკურის ხასიათის საგანია“. უნდა იყოს: „კლასებისა და წოდებისაგან გროვდებიან“ „რომელსაც მისი იდეოლოგია მხარს უჭერს“, „მცირე და პალიატივურის ხასიათის საგანია“.

სადგილ-მამულო რეფორმის მოლოდინში

სოფლებიდან საშინელი ამბები მოდის. ბალტიის მხარეში, მალოროსიაში, ვოლგაზე,—ყველგან სოფლის მოძრაობა დაწყებულია. ეს მოძრაობა ისეთ ადგილებსაც მოედო, სადაც წინად მისი ხსენებაც არ იყო სრულებით.

მაგრამ ის, რაც უკვე მოხდა, იმდენად დამაფიქრებელი არ არის,—დამაფიქრებელია ის მიმართულება, რომელიც ვრცელდება სოფლად.

ჰაერში რაღაც ფურთქნის მოახლოვებას ატყობს ადამიანი: გლეხის, სოფლელის ხასიათი შეიცვალა როგორღაც: სოფლელის სურვილები უწინ გაურკვეველი იყო, გაუგებარი, ახლა ამ სურვილებმაც შეისხა ხორცი; სოფლელმა თავისი სოციალური მოთხოვნილება გამოსთქვა.

ამ მოთხოვნილებას სტიქიური ძალა და მკვლელობა მიენიჭება, თუ მშვიდობიანად, კანონიერად შესრულდება დიდი საქმე? იმ მოძრაობაში, რომელიც ახლა მთელ რუსეთს მოედო, რომელ გზას დაადგება გლეხობა?

გლეხობის გამოფხიზლება მოულოდნელი გამოდგა მხოლოდ იმათთვის, ვისაც სიჩუმე თანხმობისა და მორჩილების ნიშანი ეგონა; ყოველთვის გლეხობა გაჩუმებული იყო და მის მაგივრად, მის სახელით ლაპარაკობდა ყოველი ადამიანი.

ამბობდნენ, გლეხობას უნდაო წოდებრივ წყობილების შერჩენა, გლეხობას უხარიაო განცალკევება, გლეხობის სახელით აცხადებდნენ უარს თანასწორობაზე, ამბობდნენ, გლეხს არ უნდა თავის ნებაზე მოაწყოს თავისი ცხოვრებაო.

მეორეს მხრივ საზოგადოდ იყო გავრცელებული აზრი, ვითომც გლეხობის განცალკევება და უუფლებობა სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის ყოფილიყოს საჭირო; ჰფიქრობენ, რომ აირევა ყველაფერი სახელმწიფოში, გლეხობას თუ მიანიჭეს თანასწორობა, თავისუფლება.

ამნაირმა მიმართულებამ თავისი ნაყოფიც დაგვანახა აშკარად. სამეურნეო კომიტეტის შრომებმა გამოარკვიეს სოფლის უფლებრივი მდგომარეობა, გამოარკვიეს, რომ გლეხობას არა-გლეხობისაგან გადუვალი კედელი აშორებს. სხვადასხვა წოდების ხალხს ერთმანეთის არაფერი არ გაეგებოდა და ამ გაუგებრობამ გაამწვავა გლეხების ისედაც გამწვავებული დამოკიდებულება მემამულეებთან. ის, რაც მემულეებს მათ კანონიერ უფლებად მიაჩნიათ, გლეხების აზრით იყო უკანონობა, ძალმომრეობა. არ სჩანდა ნიადაგი, რომელზედაც შეიძლებოდა შეთანხმება და შეერთება. თვით იმ დაწესებულებებში, სადაც საზოგადოდ ირჩეოდა გლეხების შესახები საქმეები, იყო გაბატონებული შეხედულება, გლეხების განცალკევება რაღაც ბუნების კანონი არისო, აუცილებელი სოფლის მეურნეობისათვის, გლეხობისთვის საიდუმლო და ამიტომ შესანარჩუნებელი და სასურველიო.

ეჭვი არ უნდა იმას, რომ თანამედროვე სოფლის მოძრაობას მიზნად აქვს მიწა: იწყება ძლიერი ბრძოლა მიწის დასაკუთრების გულისთვის და ყოველ მიუდგომელ ადამიანისთვის ცხადია, რომ სოფლელისთვის მიწა მართლაც საჭიროა და ძლიანაც საჭირო. სოფელს მიწა საკმარისად არა აქვს,—მიწის შემოსავალი ვერ აკმაყოფილებს სოფლელის მოთხოვნილებას.

მართალია, მხოლოდ მიწის სივიწროვე არ არის სოფლის გაღარიბების მიზეზი. საკმარისია გავიხსენოთ სახელმწიფო გადასახადები, რომელიც მძიმე ტვირთად აწევება სწორედ ღარიბ ხალხს, საკმარისია დავაკვირდეთ სოფლელის უუფლებობას.

ადგილ-მამულის განაწილება გლეხებში აუცილებელი საჭიროა სოფლის გასაღონიერებლად, მაგრამ მხოლოდ ეს ერთი საშუალება საკმარისი არ არის. მთელი მიწაც რომ დაურიგდეს ამჟამად გლეხობას, შემდეგი თაობა მაინც ისეთივე ღარიბი შეიქმნება, როგორიც დღეს არის. შეუძლებელია ნამდვილი მეურნეობა, როდესაც გლეხს არა აქვს კაპიტალი, არა აქვს კრედიტი, როდესაც გლეხი მხოლოდ საკუთარ შრომითა და უიარაღოდ ცდილობს მოსავლის მოყვანას.

სადგილ-მამულო რეფორმა აუცილებელია ამჟამად რუსეთში. შეიძლება წვრილმანებში ეს რეფორმა შეიცვალოს, მაგრამ დედა-აზრი კი ყველასათვის ცხადია.

სახაზინო ფულის ქალაქ ადგილებიდან სოფლებში გადატანაა საჭირო. ზოგი ფული უნდა მოხმარდეს მიწის გამოყიდვას კერძო მესაკუთრეთაგან, ზოგი კიდევ მეურნეობის გაუმჯობესებას, წვრილ კრედიტის მოწყობას...

დიდი დაბრმავება იქმნებოდა იმის თქმა, ვითომც მთელ უზარმაზარ რუსეთში, მის სხვადასხვა კუთხეში შეიძლება ერთია და იმავე საშუალებით გადასწყდეს სადგილ-მამულო საკითხი, მხოლოდ ცხადი კი არის, რომ ყოველ საშუალებას დიდძალი ხარჯი სჭირია უთუოდ და ეს ხარჯი უნდა დაეწევს მთელ სახელმწიფოს და არა მარტოოდენ გლეხობას, ვინაიდან სადგილ-მამულო რეფორმა მთელ ხალხისათვის არის სასარგებლო და საჭირო.

ეს რეფორმა შეუძლებელიც იქნება, თუ არ შეიცვალა საერთოდ გადასახადების მთელი სისტემა, ვინაიდან შეუძლებელია სოფლის გაღონიერება, როდესაც ყველა გადასახადების უმეტესი ნაწილი სოფლელებს აწევა კისერზე.

გასაჭირ დროს უნდა გადაწყდეს სადგილ-მამულო საქმე რუსეთში, მაშინ, როდესაც შორეულ აღმოსავლეთის ომმა შთანთქა ამდენი სიმდიდრე... მაგრამ ეს საკითხი მაინც უნდა გადაწყდეს ზევიდან იმიტომ, რომ წინაამდეგ შემთხვევაში თვით ხალხი ეცდება მის გადაწყვეტას.

ბატონყმობის მოსპობის დროს მთავრობას ჰქონდა საკმარისი ზნეობრივი ავტორიტეტი იმისთვის, რომ ბატონების წინაამდეგ ემოქმედნა და შეექმნა დიადი რეფორმა. მაგრა მრეფორმის სისრულეში მოსაყვანადაც ისეთივე ავტორიტეტი იყო საჭირო. საზოგადოების ნდობა აუცილებელია ყოველ რეფორმის შემოსაღებად; საჭიროა საზოგადოების თანაგრძნობა და თანამშრომლობაც. ამ თანამშრომლობისათვის უკვე არსებული თვითმართველობის დაწესებულებაც არ კმარა, საჭიროა საზოგადოებრივ ძალების მეტი განვითარება.

როგორ შეიძლება ბიუროკრატიულის წესით საიჯარო დამოკიდებულების მოწესრიგება? ამისათვის არის საჭირო დიდი შრომა და რწმენა, რომ ამ შრომას ნაყოფიც მოჰყვება. საჭიროა საზოგადოების აღფრთოვანება, ურომლისოდაც შეუძლებელია ძირითადი რეფორმა სახელმწიფოში.

უკანასკნელ წლების განმავლობაში გვინახავს ხშირად, რომ ბიუროკრატიას შედარებით მარტივი საქმეებიც ვერ მოუწესრიგებია,—გავიხსენოთ თუნდ საბეითალო კანონი,—ნუ თუ საფიქრებელია, რომ იგივე ბიუროკრატია ისეთ რთულ საქმეს გაუძლევება, როგორიც არის სადგილ-მამულო საკითხი რუსეთში?

არავითარი ხარჯი არ არის საშიში, როდესაც საზოგადოება ენდობა მთავრობას. ყოველი ხარჯი ერთი-ათად დაბრუნდება უთუოდ.

სადგილ-მამულო საკითხის გადაწყვეტას ისეთი ძირითადი მნიშვნელობა აქვს, რომ საჭირო ხარჯი შემდეგმა თაობებმაც უნდა იკისრონ უთუოდ. საჭიროა მხოლოდ ნდობა, ზნეობრივი ავტორიტეტი.

მაგრამ აქ ეკონომიური საკითხი ისევ საპოლიტიკო საკითხს ზედ ებმევა და სახელმწიფოს განახლებას მოითხოვს. რა გზას დაადგება შემდეგში ცხოვრება: შემოვა უფლებრივი წეს-წყობილება, სოფლად წვა-დაგვა გაძლიერდება?..

(პრ.)

ს. კოტლიარევსკი

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

16 მაისი.

სტოკჰოლმი, 15 მაისი. გუშინ გაზაშტატში შეტაკება მოხდა. ხალხი პოლიციელებს ქვებს ესროდა. 6 პოლიციელი დაიჭრა. პოლიციამ იარაღით დაამშვიდა ხალხი. რამდენისამე ხნის შემდეგ ხალხმა ისევ მოიყარა თავი და უწესობა მოახდინა. ცხენოსნებმა წესიერება აღადგინეს. 30 კაცია დაპატიმრებული.

კიშინიოვი, 16 მაისი. არჩეულ იქმნა 35 ხმოსანი. ძველ ხმოსანთა უმეტესობა გაუშვეს, მათ შორის ქალაქის თავიც.

კანეა, 15 მაისი. კრიტოსელთა კრებამ შემდეგი რეზოლიუცია დაადგინა: „გამოვსთქვამთ რა ჩვენს მწუხარებას იმის გამო, რომ სახელმწიფოებმა არ შეიწყნარეს ჩვენი წინანდელი რეზოლიუციები და მტკიცედ ვადგივართ რა ჩვენს წინანდელ მოთხოვნილებაზე საბერძნეთთან შეერთების შესახებ, ვსთხოვთ მფარველ სახელმწიფოებს, შეასრულონ თავისი განმანათლებითი შრომა და კრიტოსელების მწუხარება-აღრეულობას ბოლო მოუღონ. კრება სთხოვს კრიტოსელებს დასდონ იარაღი, ხოლო თვით კრება, სწყვეტავს რა დროებით თავისს სხდომებს, იტოვებს უფლებას, რომლის ძალითაც, მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ, საერო საქმეთა განსახილველად კვლავ მოიწვევს ახალ კრებას.

რევილი 16 მაისი. გუბერნატორმა დაიბარა ყველა ქარხნისა და ზავოდის „სტაროსტები“ (მამასახლისები) და გამოუცხადა: მუშებში აგიტაცია არა სცხრება და დემონსტრაციებსაც ხშირად ახდენენ ქუჩებში; გადაეცით მუშებს, რომ პოლიციამ ყველაფერი იცის აგიტაციებისა და დემონსტრაციების შესახებ და მე ბრძანება გავეცი, აკრძალულ იქმნას ყოველგვარი დემონსტრაცია. სადაც კი დაიარა გუბერნატორმა, ყველა მამულებში მუშაობას მოჰკიდეს ხელი, რადგან მემამულეები და მუშები მოარიგა. დღეს დილით მებუდკეები გაიფიცნენ. ღამით მუშაობის მოსპობას, კვირის უქმობას და სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესობას თხოულობენ.

პარიზი, 16 მაისი. მეფე ალფონსის მოსვლის გამო პალატის კრება 23 მაისისათვის გადაიდო, სენატისა—24.

ბრიანსკი, 16 მაისი. სიფხიზლის სამზრუნველოს ბაღში გუშინ საღამოს წარმოდგენის დროს დემონსტრაცია მოახდინეს. პოლიციამ და ჯარმა ხალხი გაფანტა. რამდენიმე დაატუსაღეს.

ვარშავა, 16 მაისი. გუშინ. საღამოს 10 საათზე, დუცკის ქუჩაზე უცნობთ სამჯერ ესროლეს პოლიციელ კალინოვს და სასიკვდილოდ დასჭრეს ზურგში.

არმავირი, 16 მაისი. კავკავის რკინის გზის სადგურ კუდკავირზე, სასტუმროში თავი მოიკლა გენერალმა კოვალიოვმა, რომელსაც ჰბრალდებოდა ექიმ ზაბუროვის დატანჯვა.

ლონდონი, 16 მაისი. ათასი უსაქმო მუშა დილას შეგროვდა ლესტერში და დიდის აღტაცებით მიიღო გადაწყვეტილება მეფესთან დეპუტაციის გაგზავნის შესახებ. მეფეს მისწერეს წერილი, რომელშიაც მას დიდის პატივისცემით იხსენიებენ.

ჩერნიგოვი, 15 მაისი. საგუბერნიო საგანგებო კრება გაიხსნა. გუბერნატორმა კრებას მოკლე სიტყვით მიმართა და სთქვა, ერობა ხოლერასთან საბრძოლველად მზად უნდა იყოსო.

ნიუ-იორკი, 16 მაისი. ჩილის კრეისერი ზღვის კლდეს დაეჯახა და დაიღუპა. კაპიტანმა თავი მოიკლა.

მადრიდი, 15 მაისი. სიცხეა უკანასკნელ დღეებში.

ჰონგკონგი, 15 მაისი. ბრიტანიის აქაურმა ესკადრამ ბრძანება მიიღო, ჩრდილოეთისკენ გაემგზავრეთო. ესკადრა ხვალ წავა. ინგლისის სამხედრო გემები, რომლებიც სინგაპურში დგანან, ჰონკონგის ესკადრას შეუერთდებიან.

მაგადორი, 16 მაისი. რადგან ადგილობრივ მკვიდრთა შორის საშინელი განხეთქილებაა, მაროკოში მიტოვისა და მარაკეშის გზაზე გავლა სახიფათოა. ყველგან ძარცვა-გლეჯაა და ძალმომრეობაა.

ბორისოგლებსკი, 16 მაისი. სოფელ პატარა გრიბანოვკაში ცეცხლმა გაანადგურა ასზე მეტი სახლი, დაზარალებულნი უკიდურეს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ და დახმარებას თხოულობენ. შემოწირულებანი მიიღება ბორისოგლებსკში ქალაქის მოურავის სახელზე.

კოვნო, 16 მაისი. დაბა იანოვოს თრი-მესამედი გადაიწვა. დაიწვა სახაზინო არყის დუქანი და ფოსტის კანტორა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

16 მაისი.

ტოკიო, 15 მაისი (დელი-მეილი). როჟესტვენსკის ესკადრის მოძრაობის შესახებ მიღებულ დეპეშებიდან სჩანს მხოლოდ, რომ რუსის ესკადრის თხუთმეტი გემი გამოჩნდა ცუსიმას არხში 14 მაისს, 2 საათსა და 25 წუთზე.

ვაშინგტონი, 15 მაისი (დელი-მეილი). სახელმწიფო დეპარტამენტმა ცნობა მიიღო, კორეის სრუტეში ჯავშნოსანი „ბოროდინო“ დაიღუპაო. რუსეთისა და იაპონიის საელჩოს ოფიციალური ცნობები არ მიუღიათ.

ვაშინგტონი, 16 მაისი. სახელმწიფო დეპარტამენტს ტოკიოდან, 14 მაისის თარიღით, დეპეშით აუწყებენ: დღეს, შუადღის შემდეგ იაპონიის ფლოტი შეებრძოლა ბალტიის ესკადრას

ცუსიმას სრუტეში და წინ აღარ გაუშვაო. ზარბაზნების ხმა ისმოდა.

შანხაი, 16 მაისი. დღის ორი საათი. პეკინიდანა და ცინტაოდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ჯავშნოსანი „ბოროდინო“ და სხვა რამდენიმე გემი დაღუპულა. იაპონიიდან ოფიციალური ცნობები ჯერ არ არის. ხანგრძლივი დუმილი, როგორც ყველა ამბობს, ნიშნავს რომ იაპონელები ან დამარცხდნენ, ან ბევრი გემი დაჰკარგეს. „ნიპო ნიუზენკაიშას“ დირექტორთა კრებამ გუშინ გადასწყვიტა, გემების მიმოსვლა შეაჩეროს.

პარიზი, 16 მაისი. საზღვაო ბრძოლის შედეგისა აქ არაფერი იციან, იაპონიიდან მოდის გაურკვეველი და ერთი ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები. პრესსა ჰფიქრობს, როჟესტვენსკიმ ალბად რამდენიმე გემი შესწირა, მტერი დააზარალა და კორეის სრუტე გაიარაო.

ბერლინი, 16 მაისი. რადგანაც იაპონელები დეპეშებს იჭერენ და გაზეთებში არ უშვებენ, ნამდვილი ცნობები არ მოდის. ცნობები სხვადასხვა გზით მოდის, მომეტებულად ჩინეთიდან, ამიტომ ნამდვილი არავინ არ იცის. „ლოკალ-ანცაიგერს“, 15 მაისის თარიღით, შანხაიდან ატყობინებენ, რუსები ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ, ოთხი გემი, მათ შორის „ბოროდინო“, დაიღუპაო. პარიზიდან დეპეშით გვატყობინებენ, ჯავშნოსანი წყალ-ქვეშ მცურავ ნაღმისგან დაიღუპაო. იაპონიის ზარალზე ცნობები არ არის, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ზარალი დიდია. „ტაგებლატს“ ტოკიოდან ატყობინებენ, ბალტიის ესკადრის მომეტებული ნაწილი წყნარი ოკეანით ჩრდილოეთისაკენ მიდის, მცირე ნაწილი კი ცუსიმას სრუტით მიდისო. იაპონიის საელჩოში სწორე ცნობები არ არის.

შანხაი, 16 მაისი (რეიტ.). ჩინეთის საომარმა გემმა სედელის კუნძულებისკენ შეიარა, მაგრამ ბალტიის ესკადრის ნასახიც არ უნახავს. კუნძულს რომ გარშემოუარა „დობროვოლნი ფლოტის“ კრეისერმა „დნეპრმა“ გააჩერა. სალამის შემდეგ ჩინეთის გემი შანხაის დაბრუნდა. გზაზე, ვუზუნის ქვემოთ, რუსეთის ტვირთმზიდავ გემებს გაუარა გვერდით. გემებს ზვერავდნენო.

შანხაი, 8 საათსა და 25 წუთ. საღამოთი „ჟარდინისა და მარტისის“ ფირმებმა ცნობა მიიღეს, იაპონიის შვიდი გემი ჩაიძირა, ამათში ორი ჯავშნიანიო. ამბობენ, იაპონელები მოუთმენლად ელიან ვლადივასტოკიდან როჟესტვენსკის ოფიციალურს ცნობას, მანამდის კი თვითონ არ აცხადებენ თავის ზარალს. ხმა დადის ვითომც „რიონი“ და „დნეპრი“ შანხაის მხარეს 60 მილის სიშორეზე დათარეშობს და მიმოსვლას აძნელებსო.

ლონდონი, 16 მაისი. იაპონიიდან მიღებული დეპეშები ამტკიცებენ, რომ როჟესტვენსკი დამარცხებულა. იაპონელთა 3 კრეისერი და თორმეტი ნაღმიანი გემი ჩაძირული და დაზიანებულია. ბრძოლა არ შეწყვეტილა.

ვაშინგტონი, 15 მაისი. გრაფმა კასსინიმ განაცხადა კერძოდ პრეზიდენტთან, რომ სამხედრო მინისტრის ტაფტას წასვლას ფილიპინის კუნძულებისკენ და იაპონიაში იაპონელები და რუსებიც შეხედავენ ისე, როგორც შეერთებულ შტატებისგან იაპონიისადმი თანაგრძნობის გამოცხადებას. პრეზიდენტის ქალიშვილის მონაწილეობა ამ მოგზაურობაში მას საპოლიტიკო ხასიათსაც ანიჭებს. პრეზიდენტმა უპასუხა, ჩემ ქალიშვილს არავითარი საპოლიტიკო სამსახური არა აქვს და ამიტომ მის მოგზაურობასაც ვერ ექმნება საპოლიტიკო მნიშვნელობაო.

ვაშინგტონი, 16 მაისი. იაპონიის ელჩი ტაკახირა გუშინ იყო პრეზიდენტთან. მაგრამ პრეზიდენტი შინ არ დახვდა. ამბობენ, ტაკახისას კერძო დეპეშა მიუღია იმის შესახებ რომ ბრძოლაში ტოგო დარჩა გამარჯვებულიო. ჰფიქრობენ, რომ ტოგო, საზოგადოდ, ნაღმიან გემებს ხმარობს, რომ რუსეთის ესკადრას მეტი ზიანი მიეცეს და თვითონ ნაკლებად დაზიანდეს...

ლონდონი, 16 მაისი (რეიტერი). ლორდმა პერსიმ შეკითხების პასუხად განაცხადა, რომ მთავრობას ჯერ არავითარი ოფიციალური ცნობა არ მოსვლია კორეის სრუტეში ბრძოლის შესახებაო.

(ღამის დეპეშა იხილე მე-4-ე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიდი საზღვაო ბრძოლა. კორეის სრუტეში დიდი საზღვაო ბრძოლა მომხდარა. ამ ბრძოლისა და მის შედეგის შესახებ დეპეშებს მეტად არეული და ერთი მეორეს საწინააღმდეგო ცნობები მოაქვს.

ის კი სჩანს, რომ ადმირალ ტოგოსთვის არც ეხლა უღალატნია ომის ბედსა და გამარჯვება ისევ ტოგოს რგებია. ხოლო არა სჩანს, რაოდენად დიდია ეს გამარჯვება, ან რამდენი დაუჯდა იაპონიას მედგარ ადმირალს როჟესტვენსკის დამარცხება. თუმცა ცნობები ამ ბრძოლის შესახებ მეტად არეულ-დარეულია, მაგრამ მაინცა სჩანს, რომ ბრძოლა დაახლოვებით ასე უნდა მომხდარიყო:

14 მაისს, დილის 6 საათზე, ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა კუნძულ ცუსიმას მიუახლოვდა და პირდაპირ სრუტესკენ წავიდა. დეპეშებიდან არა სჩანს, სრუტეში როჟესტვენსკის მთელი ესკადრა იყო, თუ მხოლოდ ერთი ნაწილი. ჩიფუში ხმა დადიოდა, როჟესტვენსკიმ თავის ესკადრა სამ რაზმად გაჰყოო. ერთი რაზმი კორეის სრუტესკენ წავიდა, მეორე ლაფერუზას და მესამეც სანგარის სრუტესკენ. „დეილი მეილს“ ტოკიოდან ატყობინებენ, ცუსიმასთან როჟესტვენსკის ესკადრის 15 საომარი გემი გამოჩნდაო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-საც ატყობინებენ, ბალტიის ესკადრის უმეტესი ნაწილი წყნარი ოკეანეს გზით მიდის ვლადივოსტოკშიო, ე. ი. იაპონიის აღმოსავლეთიდან უვლის. შეიძლება, ეს ცნობა მართალიც იყოს, მხოლოდ დაუჯერებელია, რომ როჟესტვენსკის ნამდვილი ესკადრა, ე. ი. მებრძოლი ფლოტი, შუაზე გაეყო და ამით თავის საბრძოლველი ძალაც ერთი-ორად შეემცირებინა. როცა როჟესტვენსკი სედლის კუნძულებს თავს დაანებებდა, ესკადრასაც გაჰყოფდა: ბრძოლაში გამოსადეგ გემებს,—ჯავშნოსნებს, ნაღმოსნებს, კრეისერებსა და საავადმყოფო გემებს თვითონ დაიტოვებდა, დანარჩენ გემებს კი—სურსათითა და ნახშირით დატვირთულთ, უფრო უშიშარ გზით—წყნარ ოკეანეში გაგზავნიდა. ის კი შეუძლებელია, რომ მებრძოლი გემებიც გაეყო შუაზე და თავის ძალა განზრახ შეესუსტებინა.

14 მაისს ზღვა ძლიერ ღელავდა და ხშირი ნისლი იდგა, რაიც ბრძოლას ხელს შეუშლიდა. შუადღისას გამოუდარია. ამ დროს როჟესტვენსკი სრუტის გასავალს უნდა ყოფილიყო; აქ რუსეთის ესკადრას მთელის თავის ესკადრით ადმირალი ტოგო დაჰხვედრია და შებმია კიდევაც.

აი, სწორედ ამის შემდეგ ირევა დეპეშები: რამდენ ხანს გასტანა ბრძოლამ, რით გათავდა, გაარღვია როჟესტვენსკიმ ტოგოს-მიერ გაბმული წრე და ვლადივოსტოკისკენ წავიდა, თუ უკუგდებულ იქმნა; ვინ დარჩა მოგებაში და გათავდა ბრძოლა თუ არა,—ამის შესახებ ასეთი არეულ-დარეული ცნობებია, რომ კაცი ვერაფერს გაიგებს.

ცინდაოში ხმა დადის, იაპონელებმა ერთი კრეისერი და ნაღმოსანი დაჰკარგესო. ჩიფუში კი ამტკიცებენ, იაპონელებს მხოლოდ ერთი ჯავშნოსანი და რამდენიმე პატარა გემი დაუზიანესო.

პარიზში ცნობა მოუვიდათ, კრეისერი „ნისინი“ ცოტათი დაზიანდაო.

შანხაიში ხმა გავრცელებულა, იაპონელებს 7 გემი დაეღუპათო.

ლონდონიდან იუწყებიან: იაპონიიდან მოსულ ცნობებით, იაპონელებს დაუღუპეს და დაუზიანეს 3 კრეისერი და 12 ნაღმოსანიო.

როჟესტვენსკის, როგორც დეპეშიდანა სჩანს, დიდი ზარალი მოსვლია. სხვადასხვა ქალაქიდან იუწყებიან, იაპონელებმა ჯავშნოსანი „ბოროდინო“ და რამდენიმე სხვა გემი ჩაძირესო. „ბოროდინო“ ერთი საუკეთესო გემი იყო როჟესტვენსკის ესკადრაში (13,800 ტონნა წყალ-წყვა ჰქონდა) და მისი დაღუპვა ფრიად საგრძნობელი ზარალია ბალტიის ესკადრისთვის.

ბრძოლის შედეგის შესახებაც ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობებს იუწყებიან:

ვაშინგტონში დეპეშა მიუღიათ, ადმირალმა ტოგომ როჟესტვენსკის ესკადრა შეაჩერაო. მეორე ცნობებით კი, თუმცა როჟესტვენსკი დამარცხებულა, მაგრამ გაქცევა მაინც მოუხერხებია და დანარჩენის გემებით ვლადივოსტოკში აპირობს მისვლას. მაგრამ ამ ბრძოლას ბოლოც სწორედ ვლადივოსტოკთან უნდა მოეღოს. რომში დეპეშა მიუღიათ, ვლადივოსტოკთან ადმირალების ურიუსა და კამიმურას ესკადრები გამოჩდნენ და როჟესტვენსკის უცდიანო. თუ ეს მართალია, როჟესტვენსკის დაღამებისას გაპარვა მოუხერხებია და ვლადივოსტოკისაკენ წასულა. ადმ. ურიუ და კამიმურა გამოსდევნებიან, გაუსწრებიათ და გზა მოუჭრიათ. ტოგო-კი თავის ჯავშნოსნებით ფეხდაფეხ დასდევნებია. როჟესტვენსკის ესკადრის ბედიც სწორედ იმ ღამეს უნდა გადაწყვეტილიყო: ადმ. ტოგო რუსეთის ესკადრებს აუარებელ ნაღმოსნებს მიუსევდა და დიდ ზარალსაც მიაყენებდა. ამერიკელ მეზღვაურების აზრით, ტოგოს მარტო ამითიც შეუძლიან გამარჯვება. სხვა რომ არა იყოს-რა, ამ იერიშების დროს ტოგოს დიდი ზარალი მაინც არ მოუვა.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ როჟესტვენსკის საქმე კარგად ვერ წასულა (რ. ვ.).

მანჯურიაში. 8 თუ 9 მაისს გენ. რენენკამფს წინ გაულაშქრნია და გენ. კავამურას ჯარზე იერიში მიუტანია. ლინევიჩს ამის შესახებ არაფერი მოუხსენებია და კერძო კორესპონდენტებისთვისაც აუკრძალავს რისამე შეტყობინება. ამის შესახებ „რუს“-ის კორესპონდენტი როსტოვცევი გუნჯულინიდან დეპეშით იუწყება: რენენკამფს იაპონელებთან შეტაკება ჰქონდა. ჩვენ რამდენიმე ასი კაცი დაგვეჭრეს და მოგვიკლეს. რაც მერე მოხდა —სჯობია გავჩუმდე.

ამავე ბრძოლის შესახებ „ნოვ. ვრ.“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი იქიდანვე დეპეშით იუწყება: რენენკამფმა იაპონელებისაკენ გაითარეშა. ჩვენი ზარალისა და ამ ბრძოლის შესახებ ცნობებს ცენზურა არ უშვებს (ნ. ვ.).

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი კლიმოვი გუნჯულინიდან დეპეშით იუწყება: იაპონელები მოემზადნენ და დღეს თუ ხვალ წინ წამოიწევენ. ყველა დიდ ბრძოლას ელის (ს. ო.).

სიმშილობა. „რუს. ვედ.“ ს ვლადივოსტოკიდან სწერენ: კუნძულ სახალინზე დიდი სიმშილობა ჩამოვარდნილა. მცხოვრებთ თევზი აღარ ეყოთ და ძაღლებს სჭამენ. სიმშილით ხშირად იხოცებიან. ფქვილი არსად იშოვება. კამჩატკა ღვთის ანაბარად დასტოვეს. ამურის ოლქში ხალხი გალატაკდა, დაიშა და არ იცის რა ქნას. სოფლები დაცალიერდა. თუ ომი კიდევ გაგრძელდა, ყველანი სიმშილით ამოიხოცებიან. ვლადივოსტოკში ხალხი ადმინისტრაციის ქურდ-ბაცაცობით აღელვებულია. საცაა ერთი ამისთანა საქმე უნდა გაარჩიოს სასამართლომ. ბევრს ლაპარაკობენ ერთ საქმეზე: ერთ მაღაროდან ვლადივოსტოკში ნახშირი უნდა მოეზიდნათ. ბევრი გამოჩნდა მსურველი, რომელნიც ფუთს 7—8 კაპეიკად იღებდნენ. ადმინისტრაციამ ეს საქმე ამათ არ მისცა და ჩააბარა ვიღაც საზღვაო აფიცერს ფუთი... 28 კაპ, სად 7 კაპეიკი და სად 28. ახლა ვლადივოსტოკელები სულ ამაზე ლაპარაკობენ.

ახალი ამბავი

რადგანაც რიონის რაზმის უფროსი, გენერალ-მაიორი ალიხანოვი დროებით ერევნის გუბერნიაში გაიგზავნა, ამიტომ, კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით, ოზურგეთისა, სენაკისა და ქუთაისის მაზრებისა და კიტრიშის ნაწილის მთავარ-გამგეობა, ახალ განკარგულებამდის, **დაევალა მე-77 ტენგინის პოლკის უფროსს პოლკოვნიკ ალფტანს.**

✦ როგორც „ოდეს. ნოვ.“-ი გადმოგვცემს, **იუსტიციის სამინისტროში საჩქაროდ ამზადებენ** შემუშავებულ გეგმას კავკასიაში ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღების საკითხის შესახებ.

✦ „სინ. ოტეჩ.“-ს სიტყვით, კობეკოს კომისიას აზრად ჰქონდა არა-რუსთა (ინოროდცების) მწერლობა ცენზურისა და **მწერლობის საზოგადო წესდებისთვის დაექვემდებარებინა**. კავკასიის ნამესტნიკი ქართულ და სომხურ პრესის შესახებ კომისიის აზრს მიემხრო. კომისიამ გადასწყვიტა ეს საკითხი, მხოლოდ საჭიროდ სცნო, საზოგადო კანონიდან გამოაკლოს მწერლობა, რომელიც არსებობს ებრაულ ძველ და ახალ ენებზე. ამათთვის განსაკუთრებული წესები იქმნება შემოღებული.

✦ „ნოვ. ვრემიას“ ტფილისიდან ატყობინებენ, ორი ათასმა ტფილისელმა რუსმა მუშამ დაადგინა, გამოეცხადოს გაფიცულთ, რადგან გაფიცვამ და უწესობამ 130 მუშა-რუსი იმსხვერპლა, ამიტომ დღეის იქით **დანარჩენ მუშებთან დამოკიდებულებას ვსწყვეტთ** და, თუ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ძალას მიჰმართეს, ჩვენ ერთი-სამად გავსცემთ პასუხსაო.

✦ გუშინ ქალაქის გამგეობაში **კრება ჰქონდათ სომეხთა და თათართა წარმომადგენელთ** სომხებსა და თათართა შორის შეტაკების თავიდან ასაცილებლად.

✦ **ერევნის გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია**, დროებით შეჩერდეს ფოსტის გზავნა ნახიჩევან-ერევანს შუა, რადგან ძარცვა-გლეჯა ჯერაც არ შეწყვეტილაო.

✦ **ბაქოს გუბერნატორმა სთხოვა** ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს, განკარგულება მოახდინეთ, რომ ბაქოს რაიონის ყველა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებიდან ყოველ დროს, დღეც და ღამეც, შეიძლებოდეს დეპეშის გაგზავნაო. დღემდის ამ კანტორებში დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე სწარმოებს დეპეშის მიღება-გადაცემა.

✦ **საზღვრების მთავარ-უფროსმა** ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის წინაშე **შუამდგომლობა აღძრა**: საზღვარზე ყველა სადარაჯო ბინები ტელეფონით იქმნეს შეერთებულიო. ოლქის უფროსმა ამ წინადადებაზე სტრატეგიულ მოსაზრებით უარი შეუთვალა.

✦ დუშეთის მაზრიდან გვწერენ: **დუშეთში მოვიდა 65 კაზაკი.** მოსვლისთანავე სამაზრო ადმინისტრაცია შეუდგა მთავე გლეხების დატუსაღებას. ათის დღის განმავლობაში დაიჭირეს და ჩასვეს დუშეთის საპყრობილეში 7 კაცი. ორი ირემისხევიდან, ორი ზეგნაკორიდან და თითო ჩრდილელიანთ-კარიდან, იკორთიდან და თხილოველიდან.

✦ გუშინ, 17 მაისს, ტფილისის ვიცე-გუბერნატორი სომეხთა საპარქიო უფროს ჰარეგინ სათუნიანთან იყო და აცნობა, **ამოარჩიეთ ერთი კაცი თქვენგან, ერთს თათრები ამოარჩევენ** და, გუბერნატორის სადგომში მოლაპარაკება გავმართოთ, რომ ტფილისშიაც უწესოება არ მოხდესო. გუშინ, საღამოს 9 საათზე, უკვე ითათბირეს. დაწვრილებით მკითხველებს ხვალ შევატყობინებთ.

✦ შეიხ-ულ-ისლამის შვილს, გიმნაზიაში მოსწავლეს, შემოუვლია ქალაქი და **თათრებისათვის სიტყვა ჩამოურთმევია**, მშვიდად იყავითო. იგივე გიმნაზიელი გუშინ ქალაქის მოურავთან იყო და ჰკითხა, რამდენად მართალია ის ხმები, ვითომც თათრების დეპუტაცია ყოფილიყოს თქვენთან და ეთქვას, ერევნის მაზრიდან თათრები მოდიანო. ქალაქის მოურავმა უთხრა, ეგ ხმები ტყუილიაო.

✦ ჯულფის რკინის გზის ლიანდაგზე 16 მაისს ფქვილი გაუთავდათ. თავმოყრილი **ათასზე მეტი მუშა ფქვილსა თხოულობს.**

✦ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, ბიბი-ეიბათსა, შავ-ქალაქსა და ბაქოს **ყველა ქარხნებში დაიწყეს მუშაობა,** მხოლოდ ბალახანს ზოგიერთი ქარხანა არა მუშაობს.

✦ დაბა სამტრედიიდან გვატყობინებენ: აქაურმა ნოქრებმაც აიძულეს ალები **კვირა-უქმე დღეებში დუქნები დაეკეტათ.** მაგრამ ამ გამა-

ფელეტონი

ბიუჯეტის საკითხი ინგლისში

ის დრო წავიდა, როდესაც მეფეს მთელი სახელმწიფო მის საკუთრებად მიაჩნდა, როდესაც სახელმწიფოს შემოსავალი მეფის შემოსავლად ითვლებოდა და მეფესაც შეეძლო ეს ფული თავის ნებაზე ეხარჯნა.

საშუალო საუკუნოებშივე უკვე ვრცელდებოდა თანდათან აზრი, რომ მეფე მხოლოდ მმართველია სახელმწიფოსი და არა მისი მესაკუთრე და ბატონი, და ამიტომ თანდათან შეიზღუდა ხელმწიფის წინანდელი უფლება სახელმწიფო ფულის შეკრებასა და ხარჯვაში.

როდესაც ფეოდალურად მოწყობილი სახელმწიფო თანდათან იზრდებოდა და მთავრობას ამიტომ ხარჯიც ემატებოდა, მეფის ჩვეულებრივი შემოსავალი ამ ხარჯების გასასტუმრებლად აღარ ხდებოდა საკმარისი და მეფეც იძულებული შეიქმნა მიემართა თავის ვასსალებისთვის, მიემართა ქალაქ ადგილას მცხოვრებ ხალხისთვის და ხარჯებში მონაწილეობის მიღება ეთხოვა.

ხალხმა მეფის თხოვნა შეასრულა ყველგან, მაგრამ შეასრულა, როგორც თხოვნა და არა როგორც ბრძანება. წინად არსებულ გადასახადებს გარდა, ახალ გადასახადების შემოსაღებად იყო საჭირო ხალხის ან მის რომელიმე ჯგუფის თანხმობა; ის შეთანხმება, მის ჩამოსაგდებად აუცილებლად საჭირო თათბირი ხალხის ხელში ძლიერი იარაღი შეიქმნა სახელმწიფოში გასაბატონებლად.

ხალხი, სხვადასხვა წოდება ერთხელ და სამუდამოდ არ იძლეოდა ახალ გადასახადებზე თანხმობას. ეს თანხმობა ყოველთვის დროებითი იყო, ვადიანი და ვადის შესრულებაზე მეფე ხდებოდა იძულებული ხელახლად მიემართნა ხალხისთვის და შეთანხმების განახლება ეთხოვნა...

ეს თანხმობა კიდევ იმითი იყო სასარგებლო ხალხისთვის, რომ ხალხი ყოველთვის სამაგიეროსაც სთხოვდა მეფეს, რამე ახალ უფლებას, სასურველ კანონის გამოცემას და, რაკი მეფეს სჭიროდა ფული, ხალხი ამ უფლებებს იღებდა და ამნაირად სახელმწიფოშიაც ხდებოდა ბატონი...

ამნაირ გზას დაადგა ხალხის განვითარება ინგლისში. აქ ხალხმა ადრე შეიგნო, თუ რა დიდი იარაღია მის ხელში გადასახადების შემოღების უფლება, და დღესაც იქ მეფე ყოველ წლიურად ხდება იძულებული „სთხოვოს“ პარლამენტს გადასახადის შემოღება და პარლამენტი „სთანხმდება“ ამაზე.

ინგლისის ხალხმა ესეც არ იკმარა და თანდათან ის უფლებაც მიიღო, რომ სახელმწიფო ფულის ხარჯვასაც თვალყურს ადევნებს და მის ნება-დაურთველად ხელმწიფეს ან სამინისტროს ერთი კაპიკის დახარჯვაც არ შეუძლიან.

სახელმწიფო ხარჯების კონტროლობა ინგლისის ხალხმა მოითხოვა პირველად მეთოთხმეტე საუკუნის დამლევს, მაგრამ მიიღო სავსებით მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნეში—1677 წ., როდესაც პირველად შემოიღეს ახალი წესი და ყოველ ახალ გადასახადს თავ-თავის დანიშნულებას აძლევდნენ.

სახელმწიფო შემოსავალი ინგლისში ორ ნაწილად იყოფა: ზოგი მუდმივ კანონებზეა დამყარებული, ზოგისთვის კიდევ პარლამენტის ყოველ-წლიური თანხმობა არის საჭირო.

პირველ ჯგუფს ეკუთვნის საადგილ-მამულო გადასახადი, სხვადასხვა სამოსამართლო ბაჟი, აქციზი და სხვა, აგრეთვე სახაზინო ადგილების შემოსავალი, გადასახადი ლუდზე და სხვ., რომელიც წინად მეფის კერძო საკუთრება ყოფილა და რომელიც ახლა ხაზინაში გადადის სავსებით.

მეორე ჯგუფს ეკუთვნის ზოგიერთი გადასახადი (სხვათა შორის, გადასახადი შემოსავალზე), სესხები და სხვა ამნაირივე არა-ჩვეულებრივი შემოსავალი.

მთელი შემოსავალი ხაზინიდან ინგლისის ბანკში გადადის და კანონით ბანკს ნება არა აქვს ეს ფული გასცეს, თუ ამაზე პარლამენტის გადაწყვეტილება არ იქმნა: ფულის მიღებაც ბანკიდან შეუძლიან მხოლოდ ერთ განსაკუთრებულ მოხელეს, რომელიც სრულებით დამოუკიდებელია მეფეზე და მინისტრებზე და რომელიც ამასთანავე თვალყურსაც ადევნებს იმას, თუ როგორ იხარჯება ეს ფული სხვადასხვა სამინისტროში. ეს პირი პარლამენტის დაყენებულია და ამნაირად სახელმწიფო შემოსავალი იმთავითვე ხალხის, ან მის წარმომადგენელთა ხელშია. მთავრობა, სამინისტრო ამ ფულს ხელსაც ვერ ახლებს, თუ პარლამენტმა არ გადასწყვიტა ფულის დახარჯვა, თუ პარლამენტისაგან დაყენებულმა კაცმა ინგლისის ბანკიდან ამ გადაწყვეტილების ძალით არ გამოიტანა საჭირო ფული...

როგორც სახელმწიფოს შემოსავალი ინგლისში ორ ჯგუფად იყოფა, ისევე ორ ჯგუფად არის გაყოფილი სახელმწიფო ხარჯებიც. აქაც არის მუდმივი ხარჯები და მიმდინარე ხარჯები.

მუდმივი ხარჯები ის არის, რომელიც ცალკე, განსაკუთრებულ კანონებით არის შემოღებული და რომლის გასასტუმრებლად, ამიტომ, ყოველთვის პარლამენტის განსაკუთრებული ახალი გადაწყვეტილება აღარ არის საჭირო.

ამნაირია, მაგ., სესხების სარგებელი, სესხის გასასტუმრებელი თანხები, მეფისა და მის სახლობის ჯამაგირი, ზოგიერთ მოხელის, სხვათა შორის, ელჩების ჯამაგირი, სასამართლოების ხარჯები...

ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე ხარჯებს. ინგლისში მიმდინარე ხარჯად ითვლება, მაგ., ჯარისა და ფლოტის შესანახავად საჭირო ხარჯები, ყველა სახელმწიფო მოხელეს ჯამაგირები... რაკი სახელმწიფოს არსებობისათვის სწორედ ეს ხარჯებია აუცილებლად საჭირო, ამიტომ ცხადია, რომ მთელი სახელმწიფო იმის ხელშია, ვისაც სწორედ ამ ხარჯების გაწევა შეუძლია, და ინგლისში საზოგადოდ მიღებულია, რომ პარლამენტი ამ მიმდინარე ხარჯების აღრიცხვას ყოველ-წლიურად ირკვევს დაწვრილებით და თავის ნებაზე სცვლის კიდეც.

ყოველ-წლიურად მთავრობა, სამინისტრო, წინდაწინვე არდგენს მომავალ წლისათვის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვას და პარლამენტს აძლევს განსახილველად. პარლამენტიც ჯერ ხარჯებს არჩევს. მუდმივ ხარჯებს გარდა, იხილავს მიმდინარე ხარჯებს და ამნაირად არდგენს თავისთვის ხარჯების მოსალოდნელ რაოდენობას. ამ ხარჯების დასაფარავად ჩვეულებრივი, მუდმივი შემოსავალი თუ არ ყოფნის (და იგი საზოგადოდ არაოდეს არ ყოფნის) მაშინ პარლამენტი შეუდგება ხოლმე შემოსავლის სხვა წყაროების გამონახვას და გარკვევას

ინგლისში საზოგადო წესად არის შემოღებული, რომ ყველა წინადადება, რომელიც სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალს ეხება, უთუოდ მთავრობამ, სამინისტრომ წარადგინოს პარლამენტში განსახილველად. თვით პარლამენტს ან მის რომელსამე წევრს სამინისტროს ნებადაურთველად არ შეუძლია რამე ახალი საფინანსო წინადადების შემოტანა პარლამენტში. ინიციატივა ამ საქმეში ეკუთვნის მთავრობას და მხოლოდ მთავრობას. ასეთი წესი მეტად სასარგებლო გამოდგა, რადგანაც პარლამენტის წევრები ხშირად ადვილად სთანხმდებოდნენ სხვადასხვა დახმარებაზე და სახელმწიფოს ამითი ბევრი ზედმეტი ხარჯიც მოსდიოდა ყოველ-წლიურად...

ინგლისში ორი საერო კრება არსებობს, ერთი ქვემო-პალატა და ერთიც ზემო-პალატა, და ყოველ კანონისათვის ორივე პალატის თანხმობა არის საჭირო, მაგრამ ზემო-პალატა, მხოლოდ ლორდებისგან შემდგარი, ხალხის ნამდვილ წარმომადგენლად ვერ ჩაითვლება. ხალხის ნამდვილი წარმომადგენელია ქვემო-პალატა და ყოველი საფინანსო წინადადება უნდა იყოს განხილული ამ ქვემო-პალატაში, როგორც სხვა ყოველი კანონიც.

ზემო-პალატას საზოგადოდ ეძლევა უფლება ქვემო-პალატაში გადაწყვეტილი რამე არ დაამტკიცოს და მაშინ ქვემო-პალატის გადაწყვეტილებასაც ეკარგება თავისი ძალა, მაგრამ მას არ შეუძლია შესცვალოს რამე ქვემო-პალატისგან გადაწყვეტილში.

ზემო-პალატა წინად საფინანსო კითხვებშიაც სარგებლობდა თავისი უფლებით და ქვემო პალატის გადაწყვეტილებას არ ამტკიცებდა, მაგრამ შემდეგ ესეც შეუძლებელი შეიქმნა: ქვემო-პალატა ყველა თავის საფინანსო გადაწყვეტილებას თავს უყრიდა და ერთად არდგენდა ზემო-პალატაში, რომელიც ხდებოდა იძულებული ან ერთიანად უარეყო ყველა გადაწყვეტილება და უფინანსოდ, უბიუჯეტოდ დაეტოვებია სახელმწიფო, ან სავსებით მიეღო ქვემო-პალატის აზრი.

რაკი ფინანსები აუცილებელი საჭიროა სახელმწიფოსთვის, ზემო პალატას ვერც ერთხელ ვერ გაუბედნია მათზე უარის გამოცხადება და ამნაირად საფინანსო საქმეებში ნამდვილი ბატონი შეიქმნა ქვემო-პალატა, თვით ხალხი...

ეს ბატონობა ისეთი ძლიერია, რომ მეფე, რომლის თანხმობაც არის ხოლმე საჭირო ყოველ ახალ გადაწყვეტილებისთვის, ვალდებულია ეს თანხმობა გამოსთქვას შემდეგის სიტყვებით: მეფე მადლობას უძლვნის ხალხს მის კეთილგანწყობისათვის.

ყოველი ახალი საფინანსო წინადადება ჯერ ცალკე საფინანსო კომიტეტებში უნდა იყოს გარკვეული და შემუშავებული და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის ქვემო-პალატაში განსახილველად.

რაკი ქვემო და ზემო-პალატაში საქმის გადაწყვეტას ბევრი დრო უნდა და ამასობაში ფულის დახარჯვა სხვადასხვა საქმეზე აუცილებელი ხდება, ინგლისში მიღებულია, რომ მთავრობას შეუძლია გასწიოს ესა თუ ის ხარჯი მაშინვე, როდესაც ქვემო პალატაში უკვე საამისო გადაწყვეტილება.

ამნაირი ხარჯი თეორიულად უკანონოა, ვინაიდან თეორიულად ზემო პალატას შეუძლია არ დაამტკიცოს ქვემო-პალატის გადაწყვეტილება ამა თუ იმ ხარჯის შესახებ, მაგრამ რაკი საქმით ამ თანხმობას ზემო-პალატა ყოველთვის იძლევა, ამიტომ ასეთი წესი უკვე შემოვიდა ინგლისის ცხოვრებაში, მხოლოდ კანონიერების შესარჩენად ქვემო-პალატა ბოლოში ცალკე კანონს სცემს ხოლმე, რომლის ძალითაც აკანონებს სამინისტროებისგან გაწეულ ხარჯებს.

საზოგადოდ ინგლისში, სადაც მთელი სახელმწიფო საქმეების მართვა და გამგეობა ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენელთა ხელშია, სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალიც მათ ნებაზე არის დამოკიდებული.

ხალხი თვალ-ყურს ადევნებს მთავრობის მოქმედებას, თავის ინტერესებსაც ფხიზლად ეკიდება და ნებას არ აძლევს მთავრობას იმ გზას დაადგეს, რომელიც ხალხს სასურველად არ მიაჩნია.

მეფე ინგლისში მეფობს და მხოლოდ მეფობს, ნამდვილი გამგე კი ხალხია. მეფე სახელისთვის არის ინგლისში, მეფე მხოლოდ სხვა სახელმწიფოებთან წარმომადგენლობას უწევს ინგლისს და ამაში ხალხისაგან ჯამაგირს იღებს. მეფე ხალხის სურვილების აღმასრულებელია, ხალხის მორჩილი.

სწორედ ამიტომ ინგლისში ხალხი მეფეს ერთგულებას უცხადებს... მათი თანხმობა ერთმანეთში, დიდი ხანია, არაფრით დარღვეულა. ცხოვრება თავის კალაპოტში ჩაყენებული და მის განვითარებას წინ არ ეღობება მეფის სურვილი, მეფისაგან დაყენებულ მოხელეთა თვითნებობა ან ჯარის ძალმომრეობა; არ ეღობება იმიტომ, რომ ყველა მოხელე სახელმწიფოში,—მეფე, მინისტრი, ადმინისტრაციის უმაღლესი და დაბალი მოსამსახურე და თვით ჯარიც—ემსახურება ხალხს, ხალხის სურვილებს ასრულებს, მის ბრძანებასაც ემორჩილება...

სახელმწიფო ეკუთვნის ხალხს... და არა მეფეს... ხალხი, ფულის გადამხდელი, ნამდვილ პატრონივით ეკიდება სახელმწიფო საქმეებს და ნებას არ აძლევს არავის, მისი უფლება შელახოს რითიმე.

ამნაირ წყობილების წყალობით ინგლისი პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფო შეიქმნა... განვითარდა პოლიტიკურად, გახდა სამაგალითოდ ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსთვის ევროპაშიაც.

—*

რჯვებამ დიდხანს არ გასტანა. ალებმა თავისით დაიწყეს დუქნების გაღება, რის გამოც ალებს ერთმანეთში დიდი ჩხუბი მოსდით ხოლმე. ნოქრები კვირა-უქმე დღეებში დუქნებს არ ეკარებიან. ენახოთ, მომავალში ვინ გაიმარჯვებს, ნოქრები თუ ალები.

✦ **ორშაბათს, 16 მაისს, სადგურ გლდანთან გაძარცვეს თიანეთში მიმავალი ტფილისის ფოსტა.** როგორც ეტყობა, ბოროტ-განმზრახველნი გზის პირას, ტყეში იყვნენ ჩასაფრებულნი და, როდესაც ფოსტა დაუპირდაპირდათ, სროლა ასტეხეს. მოკლულ იქმნა ფოსტალიონი და სტრაჟნიკი. ავაზაკებმა წაიღეს მხოლოდ 20 მან.

✦ კავკასიის **ნამესტნიკის კანცელარიის ახლად დანიშნული დირექტორი**, კოლ. სოვ. პეტერსონი, როგორც „ნ. ობ.“-ს გაუგია, ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგება

✦ რკინის გზის მთავარ-გამგეობისაგან ამიერკავკასიის **რკინის გზის უფროსს მოუვიდა განმარტება შესახებ 11 აგვისტოს 1904 წლის უმაღლესად გამოცემულ მანიფესტისა**. მთავარ-გამგეობა აცნობებს, რომ ამ მანიფესტის ძალით გადაყოლებულ და დაკლებულ ფულისათვის პასუხის გებისაგან განთავისუფლებულნი არიან, როგორც სადგურის აგენტები, ისე სადგურის უფროსებიც.

✦ ა. ა. შაკი-გირეიმ და ნ. პ. ტარატინოვმა **სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას წარუდგინეს მოხსენება** წყლების გამგეობის ინსპექციის კანონ პროექტის შესახებ. ტარატინოვი სწერს: ამ კანონ-პროექტის მიზანია, სრულიად დახშოს თავისუფალი მოქმედება ადგილობრივ საწყლო გამგეობისა და მოსპოს ყოველივე მნიშვნელობა ამორჩევითი წესისა და ამ დაწესებულებებს დაუდვას საფუძვლად თვითნებობითი ხასიათი; ეს კანონ-პროექტი თავისუფალ მოქმედებას უსპობს არამც თუ საწყლო გამგეობებს, არამედ იმ კერძო პირებსაც კი, რომელთაც ამ გამგეობებთან რამე კავშირი აქვთო.

✦ ქალთა მეორე გიმნაზიაში წელს **სწავლა დაამთავრა სულ 84 ქალმა**. ამათში რუსია 34, სომეხი 17 და თორმეტი ქართველი: ქ. ზარაფიშვილი, დ. ფალავანდიშვილი, მ. თარხნიშვილი, ე. ტატიშვილი, ო. ხუციშვილი, ე. ჩხეტია, მ. გაბაშვილი, ნ. გედევანიშვილი, მ. გოცირიძე, ე. თაქთაქიშვილი, ნ. ტურიაშვილი და მ. თაარხან-მოურავი.

✦ ვაჟთა მეორე გიმნაზიაში წელს **სწავლა დაამთავრა სულ 67 კაცმა**. მათ შორის ცხრამეტი ქართველია: გიორგი ასათიანი (ოქროს მედლით), ამილახვარი გიორგი, გომელაური მიხეილ, იოსებ ჯორჯაძე, გიორგი მაჩაბელი, ლეონიდ ნაზარიშვილი, ბესარიონ ოქროპირიძე, ესილ ხიდირბეგიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, მიხეილ ყარანგოზიშვილი, გიორგი მირზაშვილი, გიორგი ნათიძე და ალექსანდრე ოცხელი.

✦ გუშინ-წინ, 16 მაისს, ელისაბედის ქუჩაზე, რკინის გზის სამმართველოს წინ, ეტლი გააჩერა ოთხმა ოსმა, გადმოვიდნენ და ფულს აღარ აძლევდნენ. ხელში გარმონიც ეჭირათ, სადღაც ექეიფნათ. მეეტლე ფულს სთხოვდა, მაგრამ ისინი ლანძღვით უპასუხებდნენ. ბოლოს, ვიღაც ღვთისნიერი კაცი გამოესარჩლა იმერელ მეეტლეს. „რაინდებმა“, რომელთა ამქარიც ხშირად გოლოვინის პროსპექტზე ფულს აგროვებს, განებით „მოიხსენიეს“ და „ბუნტოვშჩიკადაც“ მონათლეს ეს კაცი და ამიტომ საცემრადაც მიიწიეს, მაგრამ ეს კაცი ყოჩაღად დახვდა. ვისაც კი სცხო, სათითაოდ გადააყირავა თავის ჭკარმონიკით. საკვირველი ის იყო, რომ პოლიცია არსად სჩანდა.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზი“ № 126)

ქ. ნახიჩევნისა და ერევნის გუბერნიის მაზრების მდგომარეობის შესახებ მიღებულია შემდეგი ცნობები: ჯარების მოსვლის შემდეგ 14-მა და 15-მა მაისმა ქალაქში მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა მცხოვრებნი მეტად აღელვებულნი არიან. ახლო-მახლო სოფლებში კი ისევ ისე ძარცვა-გლეჯაა. სანოვაგეს ვერ შოულობენ. დღისით ცეცხლი წაუკიდეს სოფელს ტუმბულს, დაიღუპა 40 კაცამდე. სოფელ აირიმჯში ძარცვა-გლეჯის მოსასპობად წავიდა ნახიჩევნის მაზრის უფროსი. საღამოზე ერევნის მაზრის, სოფ. კამარლიუდან საზარელი ამბები მიიღეს; წავიდა ერევნის მაზრის უფროსი და ხალხი დაამშვიდა. 16 მაისს ჩამოვიდა ნახიჩევანში შეის-ულ-ისლამი და ერევნის სომეხთა ეპარქიის უფროსი მასთან ერთად მაზრაში გაემგზავრა. სპარსეთიდან გადმოსული ქურთები ადგილობრივ მაჰმადიანებთან ერთად ცდილობენ რკინის გზა გააფუჭონ და შახტახტინის დამოუნა გაძარცვონ. შარურის მაზრის ერთ სოფელში საქონელი დაიტაცეს და ფოსტის გზაზე სოფლის მწერალი მოჰკლეს. ბრბო გაჰფანტა პოლიციის ბოქაულმა. შარურში გაიგზავნა ერთი როტა ჯარის კაცი. შემდეგ მიიღეს ცნობა, ერევნის გუბერნიის, სოფ. სარდარაპში სპარსელი ქურთები გამოჩნდნენო, ამიტომ იქ გაგზავნილ იქმნა კამარლიუდამ დაბრუნებული ერევნის მაზრის უფროსი. რადგანაც ხმა გავრცელდა, ჯულფის დამოუნაზე გადმოვიდა 160 ქურთი და კიდევ 300 კაცი აპირებს გადმოსვლას და ბორჩალოს მაზრაში მიდიანო. ერევნის ვიცე გუბერნატორს დავალა, გამოიძიოს, ეს ის ქურთები ხომ არ არიან, რომლებიც სამუშაოდ სპარსეთიდან ჩვენს საზღვრებზე ხშირად გადმოდიანო.

ქუთაისის ცხოვრება

ექიმთა მოწოდება.

1892 წ., ხოლერობის დროს, დაარსებული «ქუთაისის სამკურნალო საზოგადოება» დღეს, 1905 წ., ისევ ხოლერობის გამო იწყებს გამოღვიძებას. დღეს, როცა სოციალური საკითხები ასე აღელვებს ყველას,—ექიმთა სფერაც დაინტერესა. „პიროგოვის სიეზდზე“ მოსკოვში ექიმებმა დაადგინეს: ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველ ადმინისტრაციის კომისიებში ექიმებმა მონაწილეობა არ მივიღოთ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით არ ვიმოქმედოთო. ეს დადგენილება შეეხება როგორც ერობიან გუბერნიებს, ისე ერობის უქონელთაც.

ძნელი გასაგები არ არის საითკენაცაა მიმართული ექიმთა ეს უკმაყოფილო ხმა და რამ გამოიწვია იგი—მას ბევრ პროვინციალურ ქალაქებში თანაუგრძნეს და პრესსამაც სიხარულით აღნიშნა იგი. ბევრს ალაგას ადმინისტრაციის მიპატიჟებაზე ექიმებმა უარი განაცხადეს და ამრიგად ზნეობრივად მხარი დაუჭირეს „პიროგოვის სიეზდის“ დადგენილებას.

დღეს ჯერი კავკასიის ექიმებზე მიდგა და აქ, სხვათა შორის, ქუთათურ ექიმების ერთმა ნაწილმა ეს საკითხი წამოაყენა აქაურ მკურნალთა საზოგადოებაში, 10 მაისის კრებაზე. ამათი აზრის გამომხატველი კრებაზე იყო ს. თოფურიასეულ საავადმყოფოს ექიმი პეტრე დონდაროვი, რომელმაც თავისი ზეპირ მოხსენებით მშვენივრად დაახასიათა დღევანდელი ბიუროკრატიული უმოქმედება, ეგრედ-წოდებული, „საგუბერნიო სასანიტარო აღმასრულებელი კომისია“.

ექიმმა დონდაროვმა დაასახელა რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი ამ კომისიის უმოქმედობისა, ჩინოვნიკურ დაუდევრობისა, გულგრილობისა და დასძინა: თუ კი სამკურნალო საზოგადოებას უნდა, რომ ხალხის ჯანმრთელობას სათავეში უდგეს და ნაყოფიერად ხელმძღვანელობდეს მას,—იგი უნდა ცდილობდეს გასწყვიტოს ყოველივე კავშირი ისეთ სასანიტარო კომისიასთან, რომლის წევრების უმრავლესობაც ადმინისტრატიულ ელემენტებისაგან შესდგება, ანუ ეს კომისია უნდა გადაქციოს ისეთ ორგანიზაციად, რომლის წევრებიც ხალხის გაჭირვების ნამდვილი მცოდნე და გულ-შემატკივარნი იქნებიან. ამასთანავე, ქალაქის სასანიტარო კომისიას უნდა მიენიჭოს სრული თავისუფლება ხოლერის საწინააღმდეგო ზომების გამოძებნაში.

ასე მკაცრად და მოულოდნელად დაყენებულმა საკითხმა ექიმებში დიდი, გაცხარებული კამათი გამოიწვია, თავმჯდომარე—ექიმი ნაზაროვი თავის—მოხსენებით სულ სხვა ზომებზე უთითებდა კრებას. ისიც არ უარჰყოფდა, პირიქით, წინა კრებაზე გაცხარებით ამტკიცებდა, რომ საგუბერნიო სასანიტარო კომისია კანცელარიული დაწესებულებაა, მისი წევრების უმეტესობა არაა კომპეტენტური იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც მათ სამოქმედო პროგრამაში უწერიათ, და ამისათვის საჭიროა, რომ სამკურნალო სასანიტარო საკითხების გადაწყვეტაში იმათ ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებას მიმართონ და ერთად ვიმოქმედოთო. რაც შეეხება დღევანდელ დღეს,—ერთობა სწორედ ახლაა საჭირო, რადგან ხოლერა ცხვირწინ გვიდგას და ერთმანეთთან შეთანხმებით მის წინააღმდეგ საბრძოლველად ზომები უნდა მივიღოთო. ამრიგად, ჩვენ ჩვენის საზოგადოების პრესტიჟსაც აღვადგენთ და ხალხის დახმარების საქმესაც გავაორკეცებთო,—დაჟინებით ამტკიცებდა მეორენაირ „ზომების“ შემომტანი ექიმი.

კაი საქმეაო,—უპასუხა მას დონდაროვმა,—ჩვენი საზოგადოების დაკარგულ, ან უფრო, არნაქონ პრესტიჟის აღდგენა, სხვაზე გავლენის მოპოვება და კიდევ უკეთესია ერთობა, მაგრამ არსებულ კომისიასთან ერთად ეს ყოვლად მოუხერხებელია, რადგან იგი სრულიად უმოქმედო, უსიცოცხლო კომისიაა, ყოველგვარ კეთილ მოქმედებას სათავეშივე ახშობსო.

ხსენებული კომისია სხვა დაწესებულებებსავით რომ უმოქმედოა,—ამას დღეს მთელი რუსეთი გაიძახის. მათდამი ხალხის უნდობლობა სრული საბუთია მისი უნიადაგობისა,—სთქვა ექიმმა გ. ნასარიძემ.—ამიტომ ჩვენ ამ კომისიასთან ერთად ვერას გავაწყობთ და, ხალხის დახმარებისთვის თუ გული გვერჩის, ჩვენ თითონ შევქმნათ ორგანიზაცია და, ჩვენისავე ხელმძღვანელობით, დავეხმაროთ მას განსაცდელში. რაც შეეხება წამოყენებულ საკითხს, ჩვენ ზნეობრივად ვალდებულნი ვართ, შევუერთდეთ „პიროგოვის სიეზდის“ დადგენილებას, უარი განვაცხადოთ საგუბერნიო კომისიაში მონაწილეობის მიღებაზე და ასევე უნდა მოიქცნენ ამ კომისიაში რუსეთიდან მიწვეული ჩვენი ამხანაგებიცაო.

დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა მოითხოვსო,—სთქვა ექიმმა ი. გომართელმაც,—რომ მოსკოველთა დადგენილებას შევუერთდეთ და, თუ ორგანიზაციას ვერ შევქმნით საშუალების უქონლობის გამო, გავიჭირვოთ, კერძოთ მაინც დავეხმაროთ ხალხს. ესევე დაადასტურა ბეითალმა ლანგმა.

ამგვარ დასკვნებს და მათ ილიუსტრაციებს ვერ შეურიგდნენ დანარჩენი ექიმები. ხოლერასთან საბრძოლველად ექიმებში ამ აზრის მხნე მოწინააღმდეგე გახდა ექიმი კოტიკი. იგი ამტკიცებდა, რომ დღესდღეობით, როცა ხოლერა კარზე გვადგია, საგუბერნიო კომისიის უარისყოფა და მასში მონაწილეობის მიუღებლობა დიდი დანაშაული იქნება. ესეც არ იყოს, პიროგოვის ყრილობის დადგენილება შეეხება იმ გუბერნიებს, საცა ერობაა და, მაშასადამე, საგუბერნიო კომისიას უარყოფს. იქ ერობის საექიმო ორგანიზაცია დაეხმარება ხალხს, აქ კი ერობა არაა და, თუ საგუბერნიო კომისიასაც უარვყოფთ, მაშინ ავადმყოფობის დროს ხალხს ვინღა დაეხმარებაო.

მაგრამ ამაზე რუსეთიდან ახალ ჩამოსულ ექიმს შენიშნეს, რომ პიროგოვის ყრილობის დადგენილება საერთოა ყველა გუბერნიებისთვის, ერობა აქ არაფერ შუაშიაო და, თუნდაც რომ ასე იყოს, აქ ქალაქის სასანიტარო კომისია იკისრებს ხოლერის წინააღმდეგ ორგანიზაციის მოწყობას, მხოლოდ მას გადმოსცენ ის საერობო ფული, რომელიც დღეს საგუბერნიო კომისიის ხელშია და ასე უსარგებლოდ იხარჯებაო. ხალხს ქალაქის კომისიაზე უფრო ნდობა ექნება და ამით მათი შრომაც ნაყოფიერი იქნებაო. ამისთვის, დასძინა სამხედრო ექიმმა კანონოვმა, ზნეობრივად ვალდებულნი ვართ ჩვენც შევუერთოთ თანაგრძნობის ხმა პიროგოვის ყრილობის დადგენილების პოლიტიკურ ნაწილსაცო.

ეს თავმჯდომარემაც მოუხერხებლად მიიჩნია, რისთვისაც მას უსაყვედურეს: თქვენ სიტყვით სხვა ყოფილხართ, საქმით სხვაო. ასეთი დასკვნებიო, თქვა მან,—ჩემი მოხსენებიდან არ გამომდინარეობს, მას პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს დღევანდელ საკითხთან; ამისათვის ჯერ ჩემ წინადადებას უყაროთ კენჭი და ემერე, თუ მაინცდამაინც გსურთ მეორე საკითხის დაყენებაც, დღეს ჩვენი წევრების საკმაო რიცხვი მაინც არ არის, შემდეგის კრებისათვის გადავდოთ იგი და მაშინ კი მთელი გუბერნიის, ე მაზრის ექიმებიც მოვიპატიჟოთ; წინადადების შემომტანს ვთხოვოთ თავისი მოხსენება დასწეროს, უფრო დაასაბუთოს და წარმოუდგინოს უფრო მრავალრიცხოვან კრებასო.

აი, ასეთი დადგენილებით დაიშალა ქუთათურ ექიმთა საინტერესო კრება და დაევალა მდივანს, აცნობოს მაზრების და სხვა ექიმებს, რომ მომავალ კრებას თუ დაესწრებიან, თავიანთი აზრი მაინც გამოსთქვან და წერილებით აცნობონ სასაზოგადოებას. მე კი ჩემთავად დღევანდელ მდგომარეობაში ამა თუ იმ საკითხების გამო გუბერნიის ექიმების თავის მოყრა, სპეციალური საჭიროებას გარდა, სავალდებულოდაც მიმაჩნია, რათა იმათაც გამოსთქვან თავიანთი გულის ნადები საამდროვო საკითხების შესახებ ურთიერთშორის მოლაპარაკებით. ამისათვის კი, ვგონებ, ისინი ერთი-ორი დღით მოიცლიან და ეწვევიან დამპატიჟებლებს.

ის—ძიძე.

საშუალო სკოლა და პოლიტიკა

რად გაიძევა ჩვენმა ბიუროკრატიამ გიმნაზიიდან ბუნების მეტყველება (გარდა ფიზიკისა)? იმიტომ, რომ დარვინის იდეებით გამდიდრებულ ბუნების მეტყველებას ძირიან-ფესვიანად უნდა მოესპო არაკული თეორია, რომლის სიტყვითაც ბუნებისა და საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაცია ქვეყნის შექმნისა და ევოლიუციის საძირკველი იყო.

რისგან არის, რომ რუსულ ლიტერატურის შესწავლის დროს უმთავრეს ყურადღებას რუსულ ენის სწავლას აქცევენ? იმიტომ, რომ ხალხის მისწრაფებათა გამომხატველი ლიტერატურა ახალგაზრდობას თვალს გაუხელს და ნათლად დაანახვებს თანამედროვე ცხოვრებას და ამა თუ იმ მოვლენის დედა აზრს, მიზეზს, მიზანს. რაც შეეხება საზოგადო ლიტერატურას, ამას გიმნაზიის კარებსაც ხომ არ დაანახვებენ, რადგან საზოგადო ლიტერატურა ახალგაზრდობას რუსულ ლიტერატურაზე უფრო სახიფათო და გაბედულ იდეებს გააცნობდა.

საშუალო სკოლაში გამეფებულმა პოლიტიკამ თავი იჩინა არა მარტო სასწავლო საგნების არჩევა-დალაგებაში, იმათ განაწილებაში და სხ., არამედ მოსწავლის ზნეობაზედაც იქონია გავლენა. „შენი საქმე არა რის“, не рассуждать!—ხმა ამოუღებლივ უნდა დაემორჩილდე მთავრობას, იმ სადგომებში უნდა იცხოვრო, სადაც ჩვენ გიჩვენებთ, კერძო და საერო ბიბლიოთეკებიდან წასაკითხ წიგნების წაღება არ გაბედო, ამა და ამ საათის შემდეგ ქუჩაში თავი არ გამოჰყო, სკოლის გარეშე თვალყურის დევნა, სასჯელთა სისტემა ამ წესების დარღვევისთვის, მოსწავლეებში ჯაშუშობის გავრცელება და სხ. და სხ. და სხ.—აი, ეს არის ის ატმოსფერა, რომლითაც სუნთქავს და იკვებება ჩვენი ახალგაზრდობა.

ამ დახავსებულ და ბნელ სისტემას პროტესტი გამოუცხადეს. ამჟამად ზომიერი პედაგოგებიც კი უკმაყოფილონი არიან სკოლაში არსებულ პოლიტიკით და თხოულობენ, სკოლა მხოლოდ და მხოლოდ პედაგოგიკას უნდა ემსახურებოდესო. მერე რას წარმოადგენს ეს „მხოლოდ პედაგოგიური'' სისტემა, რომელსაც პოლიტიკურ სისტემას უპირდაპირებენ? რუსეთის საუკეთესო საზოგადოებისა და თვითონ პედაგოგების მოთხოვნილებანი სკოლის შესახებ ორ მუხლში გამოიხატება: 1) საშუალო სკოლამ აღარ უნდა აღზარდოს მოზარდი თაობა იმნაირად, როგორც დღემდის ზრდიდა, ე. ი. ყური აღარ უნდა უგდოს იმ ერთ მუჭა ხალხსა, რომელსაც ბიუროკრატია იარაღად გაუხდია, და 2) მოზარდი თაობა ისეთნაირად უნდა აღიზარდოს, როგორც რუსეთის მოწინავე საზოგადოება თხოულობს. ამრიგად, ერთმანეთს „პოლიტიკა“ და „პედაგოგია'' კი არ ებრძვის, არამედ ბიუროკრატიული, ფეოდალურ-პატრიარქალურ ტენდენციებით გაჟღენთილი ,,პედაგოგიკა'' და დემოკრატიულ ტენდენციით გაჟღენთილი პედაგოგიკა. მაშასადამე, ორთავე პედაგოგიკას პოლიტიკური ხასიათი აქვს, და თუ ამას სკოლიდან პოლიტიკის გადევნის მომხრენი არ ამჩნევენ, ეს იმიტომ, რომ დემოკრატიული პედაგოგიკა უფრო ფართოა და ხალხსაც მეტად ამაყოფილებს, ,,წმინდა'', ე. ი. დემოკრატიული პედაგოგიკა, საზოგადოების ინტერესების გამომხატველია და, რასაკვირველია, საშუალო სკოლიდანაც ბიუროკრატიის ბატონობა უნდა განდევნოს, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ იგი თეორიულად სდევნის და არა პრაქტიკულად: სანამ ძალა ბიუროკრატიის ეკუთვნის, იმას ნება-ყოფლობით თავის პედაგოგიკის განდევნა და დემოკრატიულ პედაგოგიკის შემოღება არ შეუძლიან. სანამ საზოგადოება შესაფერ ადგილს არ დაიჭერს პოლიტიკურ მანქანასთან, მანამდის ,,წმინდა'' პედაგოგიკად მონათლული დემოკრატიული პედაგოგიკა სკოლაში ვერ შევა, ფეხს ვერ მოიკიდებს, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, არც შეუშვებენ და არც ფეხს მოაკიდებინებენ. ან განა შესაძლებელია, რომ უცებ სკოლა პატივისცემით მოეპყრას მოსწავლის პიროვნებას, ყური დაუგდოს მის საჭიროება-სურვილსა, სასტიკი სასჯელი უკუ აგდოს და დამნაშავეს ჰუმანიურად მოეკიდოს, სკოლის გარედ მოსწავლეს თავისუფლება მისცეს, კითხვა-განვითარებაში ხელი არ შეუშალოს და სხ.—განა შესაძლებელია ყველა ეს მაშინ, როცა იგივე უფლება მოზრდილებს, თვით მასწავლებლებსა და მოსწავლეთა მშობლებსაც არა აქვს? ეს რასაკვირველია, აბსურდი, სისულელე იქნებოდა. დროა გავიგოთ, რომ სკოლა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების სურათია, მისი ნაყოფია, სარკეა, რომ ეხლანდელი სკოლა სწორედ ისეთი უნდა იყოს, როგორიც არის. ეს, აუცილებელია.

თანამედროვე სკოლის ხსნა იმაში კი არ არის, რომ სკოლაში ,,პოლიტიკის'' მაგივრად ,,წმინდა პედაგოგიკა'' იქმნას შემოღებული, არამედ იმაშია, რომ საზოგადოებამ სახალხო წარმომადგენლობით პოლიტიკური ძალა მოიპოვოს. აი, მხოლოდ მაშინ გადაიქცევა ფაქტად ის თეორია, რომელსაც ამ ჟამად ,,წმინდა პედაგოგიკას'' უწოდებენ (ს. ო.).

ქ. რუმინსკი.

რკინის გზის მებუფეტეთა პეტიციის გამო

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხუთმა მებუფეტემ, როგორც წარმომადგენლებმა დანარჩენ სადგურების მებუფეტეებისამ, ახლახან რკინის გზის სამმართველოს საბჭოს პეტიცია წარუდგინეს სადაც, სხვათა შორის, ისინი თხოულობენ: შეუმცირდეთ იჯარა 50 პროცენტით, მოისპოს ბუფეტების საჯარო გაჭრობით გაცემა, უფასო მკურნალობა მათთვის და მათის ოჯახებისთვის, უფასო მიმოსვლა, [illegible] მოწყობა და სხვ... ყველა ეს საყურადღებოა თვითონ ბუფეტის პატრონთათვის, მაგრამ მათს თხოვნაში არის ერთი რამ, რომელიც საყურადღებოა უპირველესად მგზავრთათვის. ეს არის—გადასინჯვა აწ არსებულის ნიხრისა. საჭმელ-სასმელზე და ამ ნიხრის აწევა. პირველ თხოვნების დაკმაყოფილება თვით რკინის გზაზეა დამოკიდებული. დააკმაყოფილებს მებუფეტეებს რკინის გზა თუ არა, ეს მისი საქმეა, მაგრამ რა ნება აქვს რკინის გზას უკანასკნელი თხოვნა, ე. ი. ნიხრის აწევა, აუსრულოს მათთვის უზარალოდ მგზავრების ჯიბიდან? თუ იგივე მებუფეტენი თხოულობენ საქმის მოსაწესრიგებლად, ნიხრის გადასაწყვეტად რკინის გზის საბჭომ მოიწვიოს მათი ორი წარმომადგენელი, რატომ იმ ქალაქს ან დაბას, საცა ბუფეტებია, არ უნდა ჰქონდეს ხმა ჩაგრიოს იმ საქმეში, რომელიც ეხება მცხოვრებელთა ინტერესს, და მგზავრებიც ხომ მცხოვრებელთაგან შესდგება! აქნობამდე და ახლაც ნიხრსა სდებდა მხოლოდ რკინის გზის საბჭო. რამდენად ხელმძღვანელობს ის ამ შემთხვევაში მცხოვრებთა ინტერესებით, ამას კარგად გრძნობს ყოველი მგზავრი და სხვის ჯიბით სხვისი მომადლიერება ვერაფერი პატიოსნება იქნება, თუ მან პეტიციის წარმდგენლების ეს თხოვნა დააკმაყოფილა იმათ დაუკითხავად, ვისაც უფრო ახლო ეხება, ე. ი. მცხოვრებთა წარმომადგენლების დაუკითხავად, ვინაიდან მათ უკეთ იციან ადგილობრივი პირობები, სიძვირე და სიიაფე სანოვაგისა, ვიდრე რკინის გზის საბჭომ. სანოვაგის სიძვირ-სიიაფე იციან აგრეთვე თვით მებუფეტეებმაც, მაგრამ... ვინ არის თავდები, რომ რწყილს აქლემს არ აშობინებენ ნიხრის გადაწყვეტის დროს.

არის კიდევ ერთი ახირებული წესი რკინის გზის მებუფეტეებში: მისი მუშტრები განიყოფებიან „შინაურებად“ და „გარეულებად“. პირველს შეადგენენ რკინის გზის მოსამსახურენი, მეორეს საზოგადოდ მგზავრები. ეს უკანასკნელნი იხდიან ორჯელ მეტს, ვიდრე მეორენი.

თუ რკინის გზის მოსამსახურეთათვის დაწესებულის ნიხრით არა ზარალობენ მებუფეტენი, რათ იზარალებენ, თუ იგივე ნიხრი იქნება მგზავრებისთვისაც და, თუ ზარალობენ, მაშინ იგინი მათ ზარალს ავსებენ მგზავრების ჯიბიდან. გამოდის რომ რკინის გზის მოსამსახურენი*) (ადმინისტრაცია) სადილობენ მგზავრების ხარჯზე.

ზემოხსენებულს თხოვნაში მებუფეტენი ითხოვენ რკინის გზის მოსამსახურეებს მიეცეთ ისეთი რამ ნიშანი, რომლითაც მებუფეტე დარწმუნდება, რომ მართლა „შინაურია“, რათა „ნედორაზუმენიე“ არა ხდებოდესო. აქედანა სჩანს, რომ „არა შინაურებიც“ მოტყუებით სარგებლობენ ნახევრად ნაკლების ნიხრით; ასეა ძმაო, თქვენ სხვას ატყუებთ, სხვები თქვენ. სიყალბეს სიცრუე მოსდევს. ვინც რკინის გზაზე არა მსახურებს, ნუ თუ ის ორჯელ გასატყავებელია? აღბად ესეც ერთგვარი დანაშაულობაა! ბატონი მებუფეტენი თავის გაჭრობის დაცემის მიზეზად ასახელებენ გარედ—ომს, შინით—გაფიცვებს, არეულობას და თავის კოტრობიდან გადასარჩენად თხოულობენ ზემოხსენებულ „ლგოტებს“. გარეთაც და შინაც გასამარჯვებლად უთქვენოდაც ცდილობენ... მაგრამ, საზოგადოდ, კომერციის დაცემის მიზეზები უფრო ღრმად რომ გაგესინჯათ, ე. ი. [illegible] მხედველობა ნამდვილი მიზეზისა და უპირველეს მიზეზის მისაგნებად, მაშინ თქვენს თხოვნას მხოლოდ „სარდინკა“ და „სუპი“ არ ექნებოდა საფუძვლად „სათხოვნელად“.

ასევე თხოვნა, როგორც თვით „თხოვნაშია“ ნათქვამი, თუ რკინის გზის მმართველობის საბჭომ არ დააკმაყოფილა, უნდა მიერთვას მეფის მოადგილეს კავკასიაში.

ვნახოთ, რით გათავდება დიდებულის პეტიციის მადა!

მგზავრი.

რუსეთი

კიშინიოვსა, გომელსა და სხვა ქალაქებში ებრაელების ამოჟლეტის შემდეგ ებრაელებმა ყველგან დაიარსეს **ებრაელთა ეროვნული კომიტეტები**, რომელთაც ებრაელები უნდა შეეიარაღებინა და თავის თავის დასაცველად რაზმები შეედგინათ. სააღდგომოდ აუარებელ ქალაქების ებრაელებმა მოწოდებანი გამოსცეს. აი, ოდესის ებრაელთა მოწოდება:

,,ებრაელებო! იმ დროს, როცა ამ განცხადებას წაიკითხავთ, ებრაელთა დევნის ისტორიას იქნება ერთი და ორი შემაძრწუნებელი ამბავიც მიემატოს. მთელ რუსეთში, სადაც კი ებრაელები ცხოვრობენ, მოწოდება გაისმა, იარაღი აისხით და მოემზადეთო. ეს მოწოდება არ დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. ამჟამად რუსეთში ბევრია ისეთი ქალაქი, სადაც ებრაელებს იარაღით ხელში შეუძლიანთ უკუ აგდონ არა მარტო მაწანწალა ხულიგანები, არამედ ის შავი ძალაც, რომელიც დაბრმავებულსა და უვიც ბრბოს ზურგის უკან იმალება. ჩვენმა კომიტეტმაც შეასრულა თავისი მოვალეობა და იმედია ოდესის ებრაელები მზად იქნებიან ბრბოს დასახვედრად. ზომები მივიღეთ, რომ უცხოეთის პრესსის წარმომადგენლებიც დაესწრებიან ჩვენს დარბევას და სინამდვილით აღწერენ მთავრობის მოქმედებასა და ყოფა-ქცევას. თუ როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში მთავრობა, ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ, წინდაწინვე ვიცით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლაც იგივე მოხდება, რაც გომელში მოხდა: მთავრობა თავის თავის დაცვის ნებას არ მოგვცემს, თვითონაც დაგვიწყებს ჟლეტას და ბოლოს ისე გამოიყვანს, ვითომ ჩვენ აგვეკლოს ქრისტიანები და სასამართლოც ისევ ჩვენ გაგვამტყუნებს. ჩვენ ყველა ეს ვიცით, რუსეთის ბიუროკრატიისგან ამაზე კარგს არას ველით და ამ მოწოდებითაც იმას კი არ მივმართავთ, არამედ რუსეთის ხალხსა და მთელ განათლებულ ქვეყანას. გრიგალის წინა დღეს ჩვენ ვატყობინებთ მთელ ქვეყანას, რომ ჩვენ არ გამოვიწვიეთ ეს ქარიშხალი, ჩვენ მცხოვრებლებს არადროს არ დავცემივართ და არც ეხლა დავეცემით, ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ, იძულებული ვართ იარაღი ავისხათ და ნება არ მივცეთ ჩვენი პატიოსნების შელახვისა. თუ ბედი ჩვენისა და სხვათა სისხლის ღვრას გვარგუნებს, დაე, ეს სისხლი და ცოდვა კაცის კვლისა დაატყდეს თავს იმათ, ვინც რუსეთი ამ მდგომარეობამდე მოიყვანა. ჩვენ ხელი დაგვიბანია და პასუხს აღარ ვაგებთ.

,,ოდესის ნაციონალური კომიტეტი ებრაელთა თავის დაცვისა“ (პრავო).

✦ 11 და 12 მაისს ვარშაველმა ებრაელებმა ებრაელების საროსკიპოები აიკლეს. მიზეზი ის იყო, რომ მეწვრიმალე და ქურდ-ბაცაცა ებრაელები თანამედროვე **მოძრაობას ხელს უშლიან**. აკლების დროს მოკლეს 10 და დასჭრეს 60 კაცი (რ. ვ.).

✦ 11 და 12 მაისს ლოძელ მუშებს დიდი **არეულობა მოუხდენიათ** (რ.).

✦ ბალტიის მხარეში დემონსტრანტები მღვდლებს ძალას ატანენ და **წითელ დროშებს ატარებინებენ** (რ. ვ.).

✦ ყაზანის უნივერსიტეტიდან **დაითხოვეს პრივატდოცენტი პარფენიევი** იმისთვის, რომ ის სტუდენტთა კრებას დაესწრო, თუმცა კი მას კრებაში არავითარ მონაწილეობა არ მიუღია (პ.).

✦ ტაინი სოვეტ. ტატიშჩევს მიანდვეს მოხსენების შედგენა რუსეთში **საოპოზიციო მოძრაობის ვითარების შესახებ** (პ.).

✦ კურლიანდიის გუბერნატორმა ბრძანება გასცა და პოლიციელებს დაავალა, უფრო მხნედ და ხშირ ხშირად სჩხრიკეთ მცხოვრებნიო. პოლიციელებს სრული **უფლება მიეცათ, როცა უნდათ და ვინც უნდათ, გაჩხრიკონ** (პ.).

✦ 26 აპრილს კიევში მთელი ლაბორატორია აღმოაჩინეს, სადაც **ყუმბარებს ამზადებდნენ** (პ.).

✦ ლვოვის გაზეთებში დაბეჭდილია ცნობა, ვითომ პოლონეთის სარევოლუციო პარტიებმა **გენერალ-გუბერნატორს მაქსიმოვიჩს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს** (პრ.).

✦ 28 აპრილს, ღამის 11 საათზე, ოთხმა კაცმა შჩუჩინოში (ლომჟის გუბ.) სამხედრო მასალისა და **წამლის საწყობის აფეთქება სცადა**, მაგრამ დროზე შეუტყეს, რის გამოც გაიქცნენ და მიიმალნენ (პ.).

✦ ჟიტომირელ ებრაელთა აკლების დროს 19 წლის ყმაწვილმა სიდორჩუკმა ბრაუნინგის სისტემის რევოლვერით **ბოქაული კუიაროვი მოჰკლა**. გამოძიებაზე მკვლელმა განაცხადა: მე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას ვეკუთვნი და მებრძოლთა რაზმში ვირიცხები. ბოქაული კი იმიტომ მოვკალი, რომ იანვარში მომხდარ დემონსტრაციების დროს ეგ ბოქაული ჩვენ სასტიკად მოგვეპყრო და ახლა სამაგიერო მიიღოო. (პრ.)

უცხოეთი

საფრანგეთი. მკითხველმა იცის, რომ საფრანგეთის მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა ეკლესიის განცალკევება სახელმწიფოსაგან და კლერიკალების (სამღვდელოების) ყოველსავე მონაწილეობას გამგეობაში კრიჭაში ჩაუდგა. ჯერ კიდევ კომბმა ძლიერი იერიში მიიტანა მათზე, ჩამოაცალა სამონასტრო მამულები და ქონება, ჩამოართვა სკოლები, თუმცა საბოლოოდ დამთავრება ამ პროექტისა არ დააცალეს და ბევრგვარ ხრიკებით აიძულეს სამსახურისთვის თავი დაენებებინა. კლერიკალები, რა თქმა უნდა, წააქეზა ამ გამარჯვებამ და ერთ სააღდგომო დღესასწაულის შემდეგ, განახლებულ პარლამენტის სხდომაზე, იმედი ჰქონდათ, ლოლოს გაიტანდნენ და წართმეულ უფლებას და გავლენას დაიბრუნებდნენ. რა ხმებს არ ავრცელებდნენ კლერიკალები ხალხში, რა ზომამდე არ მიდიოდა მათი

---

*) დაბალი მოსამსახურე-მუშები არ ერევია ამ ბედნიერთა რიცხვში.

უღირსი და ქვენა განზრახვებით გამსჭვალული გული, რომ ხალხის თანაგრძნობა თავისკენ გადაებირა, ხალხი აემხედრებინათ მთავრობის წინააღმდეგ და ამ ხერხით ისევ ხელთ ეგდოთ დაკარგული მუქთა დოვლათი. ეკლესიებს საცეკვაო დარბაზებად გახდიანო, ეპისკოპოსთა სასახლეებს—სამიკიტნოებად, უკეთუ გამოცალკევებულ იქმნა ეკლესია სხელმწიფოსაგანაო,—უქადაგებდნენ წმინდა მამანი ხალხს. მაგრამ მაინც ვერ გასჭრა ამგვარმა ქადაგებამ,—კლერიკალთა ენამახვილობა მეტად ჩლუნგი გამოდგა. ახლა საფრანგეთის პარლამენტის უმრავლესობას უფრო მეტის ენერგიით მიაქვს იერიში კლერიკალებზე და სურს მალე დაანახვოს საფრანგეთის ხალხს, რომ ეკლესიის გამოცალკევება და კლერიკალთა გავლენისა და პარპაშობის ჩამორთმევა არავითარს ,,ზნეობრივ დაცემულობას'' არ გამოიწვევს. პირიქით, საფრანგეთის ხალხი და განსაკუთრებით მოზარდი თაობა, ამ არამკითხე აპეკისაგან განთავისუფლებული, უფრო მტკიცედ დაადგება მოქალაქეობრივს გზას და უმაღლეს ზნეობას სწორედ მაშინ უფრო დაუახლოვდებაო.

მაროკკო რამდენსამე თვის წინად ინგლისმა ოფიციალურად აღიარა, მაროკოში საფრანგეთს ჩემზე მეტი უფლება და გავლენა აქვსო და, მაშასადამე, ნება აქვს ამ ქვეყანაში პირველობა დაიჩემოსო. ხანამ ამის შესახებ მოლაპარაკება სწარმოებდა, გერმანია სდუმდა და უთვალთვალებდა, მერე კი, როდესაც საქმე საკმაოდ გამოირკვა, გერმანიის იმპერატორმაც წამოჰყო თავი და საფრანგეთს ერთხელ კიდევ უჩხვლიტინა.

გერმანიის იმპერატორი, დიდი ხანია, აზიელებს თავს ევლება და, თუ ევროპის რომელმამე სახელმწიფომ საქმეში ჩარევა მოისურვა, გერმანია წინ ელობება. მაკედონიისა და სომხების საქმე რომ გაუთავებელია, გერმანიას ამაში არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის. ყველასათვის ცხადია, რომ იმპერატორი ვილჰელმი ოსმალეთის სულთანს თავს უქონავს და მის რეაქციონურს პოლიტიკას ზიდ ეფაფრება.

ასევე იქცევა გერმანია მაროკოში. მაროკოში საფრანგეთისა და ინგლისის მოლაპარაკება რომ გათავებას ჰლამოდა, გერმანიის იმპერატორს გემით მოგზაურობა მოეგუნებინა და, სხვათა შორის, მაროკოს სულთანსაც ეწვია. იქ ჩვეულებრივის ენამახვილობით გაქლიბ-გამოქლიბა, სულთანს თავზე ხელი გადაუსვა და საფრანგეთს მუქარის თითიც დაუქნია—მაროკო დამოუკიდებელი მხარეაო. გარეშე მაყურებელი მართლა იფიქრებდა, რომ ვილჰელმი მაროკოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ესარჩლებაო. მაგრამ ძაღლის თავი კი სულ სხვაგან ემარხა.

გერმანიის იმპერატორი დიდ მფარველობას უწევს პანისლამიზმს და ამ საქმეშიაც მხოლოდ იმისი დამტკიცება სურდა ოსმალეთისათვის, რომ მაჰმადიანობას დარაჯად ვუდგივარო.

დარაჯობისა და გარჯილობისათვის... ახალი კონცესიები ოსმალეთში, იარაღის დაკვეთა გერმანიაში,—აი, რა მიიღო იმპერატორმა ხონთქრისგან გერმანელ კაპიტალისტებისათვის...

ევროპამ მალე გაუგო გერმანიას განზრახვა და მთელი ალიაქოთი ასტეხა. ამხანად დიპლომატიური მოლაპარაკება მაროკოს სატახტო ქალაქ ფეცშია გადატანილი. გერმანიამ საგანგებო დესპანი გაუგზავნა, ტატენბახის მეთაურობით, და შესაფერი უსტარიც გაატანა. სულთანს აფრთხილებს,—გაიძვერა ინგლისმა და საფრანგეთმა არ გაგაბრიყვოსო.

გერმანიას არც საფრანგეთი ჩამორჩა და ესეც აპირობს სულთანს თავისი დესპანი აახლოს და უსტარი მიუწეროს: არამც და არამც გერმანიის ეშმაკობამ არ გაგიტაცოს და ზურგი არ შემოგაქციოსო. გრაფი ტატენბახი უკვე მივიდა ფეცს და სულთანს იმპერატორის უსტარი გადასცა, რომელიც, სიტყვაკაზმულ და აღმოსავლეთის პირფერობით შეფერადებული, სულთანის ვეზირებს ხელიხელ საგომანებლად გაუხდიათ. ვილჰელმმა კარგად იცის, რომ აღმოსავლეთის დიპლომატებს დარბაისლური სიდინჯე, და მოქარგული საუბარი უყვართ და მოხერხებულად ეწყობა მათს გემოვნებას.

არც ინგლისსა სძინავს და, თუ მათი დესპანი ნაკლებ ენა-წყლიანია, სამაგიეროდ, მათი ჯავშნიანი გემები და ზარბაზნები თავის-თავად მჭევრმეტყველებენ და მაროკოს სულთანს საგონებელში აგდებენ.

ცხადია, ინგლისიცა და გერმანიაც უფრო ადვილად გადაიბირებენ სულთან აბდულ-აზისს; თუმცა ესეც საკმაოდ ეშმაკი პოლიტიკოსია და ცდილობს ისე დააყენოს საქმე, რომ ნადავლის გაყოფაზე ინგლისი და გერმანია ერთმანეთს წაჰკიდოს, რომ თითონ შორიდან უყუროს სეირს. ვინ იცის, რომელი გამოვა გამარჯვებული ამ საქმეში. ხოლო, თუ გაზ. „კიოლნ. ცაიტ“-ს ვერწმუნეთ, დღეს საფრანგეთის ინტერესები უფრო საგრძნობლად იჩაგრება. სულთანმა შეუთვალა საფრანგეთს: თქვენის მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან საერთაშორისო ხელშეკრულობას არ ეთანხმებაო. თუ გნებავთ, ადგილობრივ 2000 კაცისაგან შევადგენ რაზმს, ხოლო ინსტრუქტორი თქვენებური ეყოლებათ და მათ დაიცვან საზღვრებიო.

ეს საქმე იმდენად მწვავდება მაროკოში, რომ ეჭვი არ არის, ამის მოსაწესრიგებლად სულთანი საერთაშორისო კონფერენციას მოიწვევს.

ქალაქის საბჭო

(16 მაისის სხდომა)

კრების გახსნისთანავე თავმჯდომარემ ქ. ა. ვერმიშევმა მოახსენა საბჭოს შემდეგი: ამ უკანასკნელ ხანებში ნახიჩევნიდან მოგვდის განსატვიფრებელი დეპეშები. იქ ხდება სწორედ ის, რაც მოხდა ამას წინად ბაქოში. თუმცა ზოგ-გვარი ზომებია მიღებული, მაგრამ სისხლის ღვრა და ავაზაკობა ქალაქიდან სოფლებშიაც გადავიდა. ჩემის მხრივ, რაც კი რამ შემეძლო, ვეცადე—ამ საზიზღარ საქმისთვის როგორმე ბოლო მომეღო, ამაში სხვებიც დამეხმარნენ და, აი, დღეს მივიღე ნახიჩევნიდან დეპეშა, რომ შეიხ-ულ-ისლამის ჩასვლისთანავე ხოცვა-ჟლეტა შეწყვეტილა; ვიყავი ნამესტნიკის თანაშემწესთანაც და მოვახსენე, რომ ტფილისის მცხოვრებნი, რომელთა შორის ბევრი ნახიჩევნელია, აღშფოთებულნი არიან ამ ამბებით, და ვსთხოვე მეტის გულმოდგინებით მოჰქცეოდა ამ ძმათა მკვლელობის ამბებს. ტფილისის გუბერნატორმაც დამამშვიდა, ქალაქში ყოველ-ნაირი ზომებია მიღებული და აქ ამგვარს ამბებს ადგილი არ ექნებაო. ჩვენ, ტფილისის მცხოვრებნი, მოვალენი ვართ, რითაც კი შეგვიძლიან, დავეხმაროთ ნახიჩევანში დაზარალებულთ და ამიტომ მე შემომაქვს წინადადება, გავმართოთ ქალაქში საყოველთაო ხელის-მოწერა და ამით ჩვენი ვალი მოვიხადოთ.

ხმ. ბაბოვი ეთანხმება თავმჯდომარეს და თავის მხრივ უმატებს, საჭიროა ნამესტნიკთან გავგზავნოთ დეპუტაცია და ვსთხოვოთ, რომ, თუმცა ზომები უკვე მიღებულია, მაგრამ უფრო მეტი და სასტიკი ზომები მიიღონო. ოფიციალურ ცნობებს გარდა—ამბობს ხმოსანი—ჩვენ გვაქვს კერძო პირებიდან ცნობები, რომლებიც სულ სხვას მოწმობენ. ჯარი ცოტა არის გაგზავნილი, ქალაქსაც არ ჰყოფნის და სოფლებს საიდან გასწვდება. სოფლები ღვთის ანაბარადაა მიტოვებული და თათრები დათარეშობენ შიგ. არც აქა ვართ ჩვენ უზრუნველ-ყოფილნი. ადვილად შესაძლებელია, აქაც დაგვეცნენ თავზე და ერთიანად დაგვწყვიტონ. მდგომარეობა აუტანელია. ქალაქში ხულიგნები გაჩნდნენ, ღამეც და დღეც ჩვენ ხიფათი მოგველის. სხვა ადარაფერი დაგვრჩენია, რომ მოსკოვისა და ოდესის მაგალითი მივიღოთ და ჩვენც შევადგინოთ ქალაქის მილიცია. გთხოვთ ამ საკითხს კენჭი უყაროთ.

ხმ. მიქელაძე მეტად სთვლის ნამესტნიკთან დეპუტაციის გაგზავნას, ამით ჩვენს მიზანს ვერ მივაღწევთ, რადგან არაფერი გამოვაო.

ხმ. ხუდადოვი ეკითხება ქალაქის მოურავს, გაზეთებიდან ამოვიკითხე, რომ თქვენ ყოფილხართ ნამესტნიკის თანაშემწესთან და გითხოვნიათ, ნამესტნიკთან მიგვიყვანეთო, და იმას კი უარი უთქვამს,—ზომები ისედაც მიღებული არისო. მართალია თუ არა ეს, ბ-ნო თავმჯდომარე?

თავმჯდომარე. მართალია.

ხმ. ხუდადოვი. მაშ მე არ მესმის, აქ რაღა დეპუტაციაზე ლაპარაკობთ?!...

ხმ. ტიგრანოვი. ქალაქში ხმა დადის, პოლიციის მეექვსე ნაწილში იარაღის საწყობი არისო...

თავმჯ. მე კიდევ გიმეორებთ, გუბერნატორთან ვიყავი, იმან დამამშვიდა, ყოველგვარი ზომებია მიღებული, რომ ქალაქში სისხლის ღვრა არ მოხდესო. დარწმუნებული ვარ, ქალაქში ამგვარი არა მოხდება-რა...

საბჭომ მიიღო ქალაქის მოურავის წინადადება და ქალაქის ფულიდან გადასდო 5,000 მანათი ნახიჩევანში დაზარალებულთა დასახმარებლად. მიიღო აგრეთვე წინადადება ხმ. ბაბოვისა ქალაქის მილიციის შესახებ და მასვე დაავალა, ამ ცოტა ხანში წარმოადგინოს ამის შესახებ ვრცელი მოხსენება.

ნამესტნიკთან დეპუტაციის გაგზავნა საბჭომ უარჰყო.

ამას გარდა საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილება: ქალაქის საბჭო ღრმად დარწმუნებულია, რომ ქალაქის სხვადასხვა ტომის მცხოვრებნი, ერთობის პრინციპით გამსჭვალულნი, ისეთ არაფერს ჩაიდენენ, რითაც შეიძლება ქალაქის მშვიდი ცხოვრება დაირღვეს.

კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. კრების დახურვის შემდეგ ხალხმა მოინდომა კერძო თათბირი გაემართნა, მაგრამ ქალაქის მოურავმა ნება არ მისცა.

კორესპონდენცია

ქიზიყი. 12 მაისი. ქიზიყელებს გაზეთში გვისაყვედურეს—მთელი ქვეყნიერება შეინძრა, ახალ ცხოვრებისაკენ გზას იკაფავენ, ემზადებიანო, ქიზიყელნი კი ცხვირ-ჩამოშვებულნი სდუმან, თითქო მათ ბუზეც არ აფრენდეთ, უტანჯველად, კმაყოფილად ცხოვრობდნენო.—ბატონებო, ეს ბრალდება ყოველს საფუძველს მოკლებულია—ვინც ქიზიყელებზე ასე ჰფიქრობს და სწერს, ალბად ან ქიზიყელთ ვერ იცნობს, ან მათ შესახებ არაფერი წაუკითხნია გაზეთებში.—ჯერ კიდით-კიდემდე არ გავარდნილიყო ხმა ახალ მოძრაობისა, ხალხის გამოფხიზლების შესახებ, რომ ქიზიყელთ შემოიღეს თვით გასამართლება და განაჩენების შედგენა თავიდამ მოსაშორებლად იმ პირთა, რომელნიც საზოგადოებისათვის მავნედ მიაჩნდათ—ეს მოვლენა გაზეთებში იყო აღნიშნული.

ქიზიყელთა ეს პირველ ხანს ცალ-მხრივი გამოფხიზლება, ადმინისტრაციის გვერდის აქცევა, უფრო გათვითცნობიერდა და მძლავრი, საზოგადოებრივი გავლენა მოიპოვა; ყველა საზოგადოებამ თავისი მოთხოვნილება შეიმუშავა.

ან კი სასაყვედურო რა გვაქვს, როდესაც ძალისძალად გვამუნჯებენ? სხვაგან თუ უმაღლესის მანიფესტის ძალით ნება აქვსთ თავიანთ ჭირ-ვარამზე ითათბირონ, მოთხოვნილებანიც კი წარადგინონ, ჩვენ ამის ღირსნი არა ვყოფილვართ, რადგანაც ყველა ეს „აგიტატორების“ ქმნილი ხელთა არისო. „აგიტატორად“ და ხალხის „ამბუნტებლად“ ჰხადიან ყველა მას, ვინც ერთ-ორ კაცს გაზეთს წაუკითხავს, ან და თავმოყრილ ხალხს შემთხვევით გვერდთ გაუვლის. რამდენი მაგალითი ვიცი ამის დასამტკიცებელი, მაგრამ ეხლანდელ დროში, როდესაც გაზაფხულის ცხოველ-მყოფელი დრო, სუსხიან ზამთრის ტართასად მოეცვალა, ვინ არ დამიჯერებს ამ არ დასაჯერებელ ამბავს?!.. მოდი და ამისთანა დროს მოჭიდავე თავისზე ძლიერს პირდაპირ აკვეთოს... თავს გაიფუჭებს, მეორედ ჭიდაობას გამბედაობა-უნარსაც დაჰკარგავს,—აქ ფანდებია საჭირო. ათასიც რომ დაგვემუნჯოს, კისრულზედაც ვეღარ წამოვიდოთ, გვერდს ვერ ვუგდოთ, მაინც პირებად გაგვხადონ, მოგვიშორიონ, რა გამოვა?!. ერთი ეს საჭიროა, თვალები მოგვეფშვნიტოს, ღრმა, სულის შემხუთავ ძილისაგან გამოვერკვეულიყავით, გამოფხიზლებულიყავით, თორემ ტანჯვა-წვალება ვერას დაგვაკლებს, როდესაც ადგება ხალხი ძილისაგან, განიბნევიან მტერნი მისნი პირისაგან მისისა და მერმე ვიტყვით—სადა არს სიკვდილო საწერტელი შენი, სადა არს ჯოჯოხეთო ძლევა შენი—მტანჯე, მაწვალე, მაგრამ იცოდე, ჯოჯოხეთო, ახლოს არს აღსასრული შენი; გამოფხიზლებულს ძალას ვეღარავინ შებორკავს; წვალება, სიკვდილი, მას ვერ შეაკრთობს, ვერ შეაშინებს. მადლობის ღირსნი არიან ისინი, ვინც თავისის უკიდურესის ჩვენდამო ქცევით, ამ გამოფხიზლებამდის მიგვიყვანეს. ამ რამოდენსამე ხნის წინად ვინ მოიფიქრებდა, რომ ქიზიყელი ადგილ-მამულის „გაეროვნებას“ (націонализація), გაათანასწორებას, სკოლაში დედა ენის სწავლებას მოითხოვდა,—აბა ეხლა ნახეთ და რას გეტყვით ის ქიზიყელი, რომელიც თავის დედულ-მამულს, თავისსავე სისხლით მორწყულ-გამოხაერებულს, სხვას უსაკუთრებდა, „დოკუმენტებზე“ ხელს აწერდა ორივე ხელით და თავისსავე ხელით ყელს იჭრიდა. აბა, ეხლა ნახეთ და ჰკითხეთ, რას იტყვის სანუკარი ენა—მთა რომ ჩამოართვეს და სამი „გადმოსახლებულთა“ სოფელი გააშენეს მათ კალთებს გვერდზე და სულები ეხუთებათ მათ მეზობლობით, კაი-კაცობით... გამოფხიზლებული კაცი შეგნებით, ფრთხილად იქცევა—ამას ყოველი შედეგი თავისის ქცევისა გათვალისწინებული, აწონ-დაწონილი აქვს, იცის აჩქარებით, აპილპილებით ქვეყანა არავის მოუჭამნია და თავის ზურგზე გამოუცდია, რომ ამ აპილპილებულის ქცევით, ერთხელ მას „მუშტის“ ფული გადაახდევინეს, ცხვირიდამ მძარი ადინეს—ამიტომ ქიზიყელთა ახლანდელ მოძრაობაში მეტი სიდინჯე, სიდარბაისლე, თვით-შეგნება გამოსჭვივის. არსად ძალმომრეობა მას არ უხმარია—ყველგან დინჯად, ადამიანურის ღირსების შემეცნებით ადგენენ, იმუშავებენ თავისს მოთხოვნილებათ. „არა, ჩვენ ძალმომრეობას არავისზე ვიხმართ, განა გიჟები ვართ—რამე დავწვათ, გავანადგუროთო, მაგრამ რასაც მოვითხოვთ, კიდეც აგვისრულებთო!“ ასე ამბობენ ქიზიყელნი...

თუმცა ამისთანა მოლოდინსა და ფიქრ-ზრუნვაში დამშვიდებული ცხოვრება არ შეიძლება, პირობაში უნდა შეიცვალოს უსათუოდ, რომ ჩვენი შრომა, ღვაწლი ხელხვავიანი, ნაყოფიერი იყოს, რომ ჩვენს ნაჭირნახულევს სრულიად სხვა არ ისაკუთრებდეს და ჩვენ ცალიერა ხმელა პურის სიხარბას არა ვრჩებოდეთო. მიუხედავად ამ მტკიცე, ბეჯითი რწმენისა და თავისის მდგომარეობის ავ-კარგის შეგნებისა, ქიზიყელნი მაინც მადა-უნებურად ჩვეულებრივ ოფლის ღვრა—მიწის დამუშავებას შუდგნენ—სწამლიან ვენახებს (ვაზს წელს ნაკლები ყურძენი ესხის), მოამზადეს მიწები სათამბაქოდ და ჰრგავენ ჩითილებს თამბაქოსას. მეთამბაქოე ქიზიყელი როგორის სასოებითა და სიყვარულით შესცქერის მოღრუბლულ ცას, ეგების ღვთის წყალობა წვიმა გამოიმეტოს, დედამიწას გული დაულბოს, რომ მოწყვეტილი თამბაქოს ჩითილი დროზე გადარგოს, არ დაბერდეს, თორემ თუ ჩითილი დაუბერდა, რაღა ეშველება, ნეტავ ჩითილი სადღა იშოვოს,—საწყალი წყალიც, ყველამ იცის, ძვირი საშოვარია ქიზიყში, თუ კი იშოვება სადმე. მერე რამდენი ოფლი აქვსთ ჩაღვრილი ჩითილის მოყვანაზე, როგორი მოვლა, სათუთი პატრონობა უნდა?!..

მართლაც, წარმოიდგინეთ, რა ძნელია მდგომარეობა მეთამბაქოესი, რომელსაც მიწა გამზადებული აქვს გადასარგავად, ჩითილსაც გადარგვის დრო აქვს და იგი მაღლა ცას შესცქერს, ეგებ ცამ წვიმა გაიმეტოსო, მაგრამ ცა მეთამბაქოეს სულის კვეთებას არ დაგიდევს და ამდენა ოფლი, შრომა, სამზადისი ხელიდამ მისდის... მაგრამ არა... მეთამბაქოეს კიდევ სული კბილით უჭირავს... სასოების ნაპერწკალი კიდევ ღვივის მის გულში... აგერ იხედება ჩრდილოეთისაკენ და მოულოდნელად ცის კიდურზე პატარა, თვალით ოდნავ დასანახ შავ ღრუბლის ნაჭერს შეამჩნევს—უცბად ეს წერტილი გაიზრდება, მოეფინება ცას, მზე იმალება, დედამიწა იკუმშება, ჭექა-ქუხილი გაისმის, ელავს, გრგვინავს მიდამო—აგერ ჩამობნელდა და წვიმაც დაუშვა, თან სეტყვაც მოატანა; ელვა-ქუხილი თავისას არ იშლის, მაინც მშრომელი, ოფლის მღვრელი მეთამბაქოე მოგებაშია—ერთ წამს თუ გულმა პირი გაუღო ელდას, ელვა-გრგვინვისაგან მალე ცას ღრუბელი გადაეყრება, მზე გამოაბრწყინებს და იგი დამბალ, გამზადებულ კვლებში მოწიფულ ჩითილს გადარგავს, თამბაქოს მოიყვანს, თუ გამოდარების შემდეგაც, ამის ნაოფლარი ჩალის ფასად ხელთ არ ჩაიგდეს ათას გვარმა ჩარჩ-ვაჭრებმა.

ქიზიყელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

17 მაისი.

პარიჟი, 17 მაისი. დღეს დილით იაპონელების ხუთი სამხედრო გემი ზღვაზე გამოჩნდა, კორეხიდორის კუნძულების წინ, და ჩრდილოეთისკენ მიდიოდა.—ინგლისელების გემმა 14 მაისს ორი ტრანსპორტი დაინახა 120 მილის მოშორებით სრუტე ბაშიდან. ჩინელების სამხედრო გემმა სადდლის კუნძულებს გარშემოუარა, ხოლო ვერც ერთი როჟესტვენსკის ესკადრის გემი ვერა ნახა, და ბარრენის კუნძულებისკენ წავიდა, სადაც რუსების კრეისერმა ,,დნეპრმა'' შეაჩერა. გემებმა ერთმანეთს სალამი მისცეს და ჩინელების გემი საიგონს დაბრუნდა.

ტოკიო. რუსებს, ეტყობა, ჰგონებიათ, ვითომც იაპონელების გემები პესკადორის კუნძულებთან სადგურობენ; ამიტომ ამ კუნძულებს ერიდებოდნენ და შორს-შორს უვლიდნენ, ვიდრე ცუსიმას სრუტეში შევიდოდნენ. რუსების ორი გემი, რომელიც ვლადივოსტოკის ესკადრას უნდა ეკუთვნოდეს, 15 მაისს ხოკაიდოს კუნძულის ჩრდილოეთად უნახავთ.

შანჰაი, 16 მაისი. რუსების ტრანსპორტებმა, რომლებიც ვუზუნში არიან, ბაირაღები ჩამოხსნეს. შანჰაის ახლო უნახავთ გემები ,,დნეპრი'' და ,,რიონი''. სხვა გემებისა არა იციან-რა.

ლონდონი, 16 მაისი. იაპონიის საელჩომ შემდეგი ოფიციალური დეპეშა მიიღო ტოკიოდან, 16 მაისს, ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე, გაგზავნილი. პირველი დეპეშა ტოგოსი: ,,14 მაისს, მოვიდა თუ არა ცნობა, რომ რუსის ფლოტი გამოჩნდაო, იაპონიის ესკადრა მაშინადვე გაეშურა, რომ რუსებზე იერიში მიეტანა. ჩინებული დარია, ზღვა ღელავს''. მეორე დეპეშა ტოგოსი ტოკიოში მოვიდა 14 მაისს ღამე: იაპონიის შეერთებულმა ესკადრამ დღეს იერიში მიიტანა რუსების ესკადრაზე ქინოსიმას ახლო, ცუსიმის სამხრეთ-აღმოსავლეთად, დაამსხვრია, ოთხიოდე გემი დაღუპა და სხვებიც ძალიან დააზიანა. იაპონელების გემები მცირედ დაზიანდნენ. იაპონელების კონტრ-ნაღმოსნებმა მზის ჩასვლის შემდეგ იერიში მიიტანეს რუსის გემებზე. ბრძოლა ჯერ არ გათავებულა. შედეგი ცოტა ხნის შემდეგ გამოირკვევა.

ლონდონი, 16 მაისი. ,,რეიტერის სააგენტო''-მ გაიგო, რომ დღემდე იაპონიის საელჩოს არავითარი ოფიციალური ცნობა არ მიუღია ტოგოსა და როჟესტვენსკის ესკადრების ბრძოლის შესახებ.

ლონდონი, 16 მაისი. საზღვაო ბრძოლის შესახებ მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ რუსებს ყველაზე უფრო დიდი ზარალი მიაყენა იაპონელთა ნაღმოსნებმა და წყალ-ქვეშ მცურავმა ნაღმებმა. როჟესტვენსკის ისე გაუჭირდა საქმე, რომ იძულებული გახდა უფრო სახიფათო გზა აერჩია, მით უმეტეს, რომ ქვა-ნახშირი შემოაკლდა და შორის გზით შემოვლა აღარ შეეძლო. ამბობენ, ბრძოლა მეტად მედგარი და გააფთრებული იყოო. იაპონელების ზარალიც დიდია.

ბერლინი, 16 მაისი. მიღებულ ცნობებით, ბალტიის ესკადრის ერთი ნაწილი ჩრდილოეთად მიდის. უკან კვალ-და-კვალ მისდევენ იაპონელთა გემები. შანჰაის მახლობლად მისულ გემებსაც შიში მოელით, რადგან ამბობენ,—იაპონელთა გემები გაშლილ ზღვაში თავს დაესხნენ ვუზუნის მახლობლად რუსთა განცალკევებულს ესკადრასაო.

ვაშინგტონი, 16 მაისი. (რეიტერი). იაპონიის ელჩმა მიიღო თავის მთავრობისაგან დეპეშა, სადაც აუწყებენ,—თუმცა დაწვრილებითი ცნობები არ მიგვიღია, მაგრამ ცნობა მოვიდა, რომ იაპონელებმა გაიმარჯვესო. კრეისერი ,,ვლადიმერ მონომახი'' დაიჭირეს იაპონელებმა და მერე ზღვაში ჩაღუპესო.

გუნჟულინი, 17 მაისი. დილის 10 ს. 30 წ. მთავარ ბანაკში მოვიდა პრინცი პრუსიისა ლეოპოლდი, რომელსაც ლინევიჩი მიეგება.

ლონდონი, 17 მაისი. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა ადმ. ტოგოსაგან მიღებული ოფიციალური დეპეშები, სადაც ნათქვამია: ,,14 მაისს, დილით, შენიშნულ იქმნა რუსთა ესკადრა. იაპონელთა შეერთებული ესკადრა დაიძრა, წინ დაუხვდა რუსთა ესკადრას, იერიში მიიტანა ქიოშიმას მახლობლად, დაამარცხა იგი, ჩასძირა რუსთა ოთხი გემი, და ძლიერ დააზიანა დანარჩენი გემები რუსებისა. იაპონელთა გემების ზიანი უმნიშვნელოა.

სეული, 17 მაისი. (დეილი მეილი). 14 მაისს, დილა ადრიანად, ადმირალი ტოგო თავის მეტად ძლიერად შეიარაღებულ ყველა სამხედრო გემებით მოზამპოსთან იყო. რუსები ნელ-ნელა მიდიოდნენ კორეის სრუტეში, ცუსიმასა და იაპონიის შორის. ტოგომ, რაც შეიძლებოდა, მოუმატა თავის გემების სისწრაფეს, შემოუარა კუნძულს და უსაშინლესი სროლა აუტეხა ერთსა და იმავე დროს რუსთა ფრთებს, მარჯვენა რაზმს, მარცხენა ფრთესა და შუბლს. რუსები აირ-დაირიენ. იაპონელები სდევნიდნენ რუსებს და იაპონიის ნაპირებისაკენ მოირეკებოდნენ. აქაც იდგნენ იაპონელთა გემები, რომელთაც ერთბაშად იერიში მიიტანეს რუსებზე. იაპონელთა ნაღმოსნების აუარებელს იერიშებს ძლიერ კარგი შედეგი მოჰყვა. რუსთა გემები, რომელნიც კი გადარჩნენ და თავს უშველეს, მგონი, მიაღწევენ ვლადივოსტოკს.

ლონდონი, 17 მაისი. იაპონელთა საელჩომ გამოაქვეყნა შემდეგი ოფიციალური დეპეშა: „15 მაისს იაპონელთა უმთავრესმა ძალებმა განაახლეს რუსებზე თავდასხმა. რამდენისამე იერიშის შემდეგ, იაპონელებმა ხელში ჩაიგდეს და დაატყვევეს რუსების რამდენიმე გემი''.

შანჰაი, 16 მაისი. (მორნინგ პოსტი). რუსთა სატრანსპორტო გემებმა 16 მაისს აღმართეს თავიანთი ბაირაღები. რუსეთისა და ჩინეთის მოხელეებს შორის მოლაპარაკება ისევაა ვუზუნში რუსების მენახშირე გემთა ყოფნის გამო. ჩინეთის ადმირალი ემუქრება რუსებს, სროლას დაგიწყებთ, თუ სანახშირე გემები ეცდებიან ვუზუნის ნავთსადგურიდან გაპარვასაო.

ვარშავა, 17 მაისი. დღეს სტარომესკის ნაწილში გამოჩნდნენ ებრაელები და განაგრძეს დარბევა ყველა იმ საროსკიპო სახლებისა, რაც კი წინად დაუზიანებელი გადარჩა; დააწიოკეს მეძავ-ქალთა გამქირავებელნი (სუტენიორები), რომელნიც ასზე მეტნი შეიკრიბნენ. რადგანაც მეძავ ქალთა გამქირავებელნი ებრაელთა რიცხვს სჭარბობდნენ და თანაც თოფ-რევოლვერის სროლით დაუხვდნენ ებრაელებს, ამიტომ უკანასკნელნი უკუ იქცნენ. ბოქაული სოკოლოვი პოლიციელებითა და კაზაკებით გარს შემოერტყა ორ საროსკიპო სახლს და დააპატიმრა 64 სუტენიორი და 29 მეძავი ქალი. ყველანი რევოლვერებითა, დანებითა და ცულებით იყვნენ შეიარაღებულნი. მეორე უბანში ბრბო გამოუდგა ეტლებში მჯდომ მეძავ ქალთა გამქირავებლებს. ასტყდა სროლა ორთავე მხარეს. მეძავთა გამქირავებელნი დაამარცხნეს.

ბერლინი. საღამოს 6 ს. 5 წ. მეუღლითურთ მოვიდა იაპონიის პრინცი არისუგავა, რომელსაც ვილჰელმი და კრონპრინცი დიდის ამბით შეეგებნენ.

ლონდონი. (რეიტერი). აკლაიდ მეტმა თემთა პალატაში განაცხადა, ბალფური გაციებით ძლიერ ავად გახდა, ლოგინიდან ვერ ადგება, რამდენსამე დღეს პალატაში ვერ გამოცხადდება და ამიტომ მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადებაზე ლაპარაკი გადიდებაო.

ლოძი. დღეს თითქმის ყველა სხვილ ქარხანებში დაიწყო გაფიცვა. გეინცელისა და გეიერის ქარხნებიდან გემები არ გამოდიან,—ამითი სურთ მექარხნეები აიძულონ, რომ მუშებს დაუთმონ. გადაწყვეტილია, გენერალ-გუბერნატორს პიროვნებისა და ქონების უზრუნველყოფა სთხოვონ.

პეტერბურგი, 16 მაისი. დღეს დაიწყო ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის თავმჯდომარეობით იმ კომისიის სხდომები, რომელსაც მანდობილი აქვს იმპერიის სამრეწველო ქარხნების მუშათა ყოფა-ცხოვრების გაწესრიგება. მთავრობის დაწესებულებათა წარმომადგენლების გარდა, კომისიაში მონაწილეობენ მრეწველობის წარმომადგენელნიც. ჯერ განიხილავენ გაფიცვათა შესახებ საკითხს, შემდეგ სამუშაო დროს. კომისია პირველი საკითხის განხილვას შეუდგა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ·ı II) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

აბასთუმანში

მშვენიერ საავარაკო ადგილს, ორ ქალას შუა, ფირალაშვილის სახლში, დაკლებულ ფასით იძლევა ქირით ოთახები თითო-თითო და მეტიც, თავის მოწყობილობით. მსურველთ მიმართონ იქვე ლევან სიმონის ძე ფირალაშვილს.

(3—1)

პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილ-განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასათვის გასაგების ენითა და მაგალითებით,—რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ. წიგნს დართული აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. „უცხო ანდაზები და წინადადებანი, რომელიც არა ერთგზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 სვ., დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდზე და ღირს მხოლოდ 1 მან., საუცხოვო (ოქროს-ვარაყიან ასოებით დაბეჭდ.) კალენკორის ყდით—მანათ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 30 კ. წიგნი ფას-დადებითაც შეიძლება გაიწერონ. უმთავრესი საწყ. ტფილისში, ქვაშვეთის ქ., გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ, книжная торг. І. З. Имедашвили.

(10—6.—4).

Дозволено цензурою, Тифлисъ, 17 мая 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 6.